პიონერი

N 6 1941

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 6 ივნისი 1948

პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამომცემლობა
„კომუნისტი“

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии
(на грузинском языке)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბათვე

ერთი ქართლელი ბიჭი ვარ,
გულში ხალისი მიბრუნავს,
ბიჭებო, ბანი მომეცით,
დავაგუგუნოთ მთიბლურად!

სანამ მკათათვე დადგება,
ხედავთ, გვეძახის სათიბი!
ფერი ვუცვალოთ მინდორ-ველს,
გავხადოთ შწვანე ქათიბი.

პირალესილი ცელებით
მივწვდეთ ზურმუხტის კულულებს,
დაგვათრობს თივის სურნელი,
ღიღინით ავაბულულებთ.

სანამ მკათათვე დადგება,
გაყვითლდებიან ველები,
ვთიბოთ და ვთიბოთ ბალახი,
მზეზე ვაელვოთ ცელები.

ხარის პურია ბალახი,
დაგვლოცავს, გაეხარდება,
მძიმე უღელში შებმული
გულდაგულ გაემართება.

აბა, ბიჭებო, ვიჩქაროთ,
ცელებს ნუ იქნევთ უგულოდ,
მალე მკათათვე დადგება,
ჰოპუნაც დავაგუგუნოთ!

გიორგი შაგბერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ზაფხული

470

სკოლებში გამოცდები დამთავრდა. ხმაწკრიალა ზარი არავის მოუწოდებს სასკოლო ოთახებისაკენ.

უკვე საზაფხულო არდადეგებია.

დაიწყო საყვარელი პიონერული ზაფხული — პიონერ-მოსწავლეთა მოგზაურობისა და დასვენების დღეები. ნორჩი მოგზაურების ჯგუფები, თავიანთი სვლიგეზის მიხედვით, უკვე იწყებენ მოგზაურობას მშობლიურ მხარეში. ათასობით პიონერ-მოსწავლემ მიაშურა და კვლავ მიისწრაფიან პიონერულ ბანაკებისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში აღიმართა პიონერული ბანაკების მაღალი ანძები.

თითქმის ოცდახუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში პირველად დაიდგა პიონერთა საბანაკო კარვები. მაშინ ძალიან ცოტა იყო ასეთი კარვები. ამიტომ პიონერ-მოსწავლეთა დიდი ნაწილისათვის ქალაქებში ეწყობოდა პიონერული მოედნები. ახლა ჩვენს სამშობლოს მრავალი კეთილმოწყობილი პიონერული ბანაკი აქვს. წელს პიონერულ ბანაკებში ზაფხულს გაატარებს ორმილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი პიონერ-მოსწავლე.

ყოველგვარი პირობა არსებობს იმისათვის, რომ ბავშვებმა ზაფხული გაატარონ საუკეთესოდ. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითეულ ბავშვზედაც არის დამოკიდებული, თუ რამდენად გონივრულად გამოიყენებს დასვენების ყოველგვარ შესაძლებლობას და რამდენად საინტერესოდ გახდის თავის პიონერულ ზაფხულს.

გასული წლის შემოდგომაზე, თბილისში, ჩვენმა რედაქციამ მოაწყო პიონერულ ბანაკებიდან დაბრუნებულ პიონერ-მოსწავლეებთან მწერლების შეხვედრა. ჩვენ გვაინტერესებდა ბავშვებს გაეზიარებინათ ჩვენთვის ბანაკებში მიღებული შთაბეჭდილებანი, ეამბნათ თავიანთი საბანაკო საქმიანობისა და ექსკურსიების შესახებ... და, მართლაც, მათ ბევრი საინტერესო რამ გვითხრეს. ისინი სიხარულით გვიამბობდნენ ყოველივეს და ჩვენც გვაღფრთოვანებდა მათი ხალისიანი ხმა და საუბარი. მაგრამ მათ შორის ჩვენ გამოველაპარაკეთ ერთ მზემოკიდებულ, ჩასუქებულ ბიჭს, რომელმაც თავის საბანაკო ცხოვრებაზე გვითხრა:

— ჩვენ იქ ვიყავით შესანიშნავად; თითქმის ყოველდღე სადილზე მესამედ გვქონდა ნაყინი.

— კიდევ რა იყო იქ კარგი?—შეეკითხეს მას. ბიჭი დაფიქრდა. შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა:

— სხვადასხვა ხილი... ხშირად გვიჩვენებდნენ კინოსურათს... ოთახები იყო დიდი, ნათელი...

ჩვენ შევეცადეთ გაგვეგო მისგან სხვა ამბებიც, მაგრამ მან მეტი ვერაფერი შეძლო ეთქვა. ვერ გვითხრა, რა სოფლები ერტყა ბანაკს ირგვლივ, რა ფრინველები გალობდნენ

ტყეებში, როგორი ყვავილები და ბალახები იზრდებოდა მდელოში, რა იყო მახლობელ მინდვრებში, რა ერქვა კოლმეურნეობას, სადაც ძათი ბანაკი იდგა. ამ პიონერს არ შეუგროვებია თავისი სკოლისათვის არც ერთი კოლექცია, არც ერთი გერბარიუმი; მას არც ერთხელ არ ჰქონია შემთხვევა ეგემა სადილი, არა მზარეულის გაკეთებული ღუმელზე, არამედ პიონერების დამზადებული მგზავრობაში.

ეს პიონერი კმაყოფილი იყო თავისი საბანაკო დასვენებით, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, ეს კიდევ არ არის პიონერისათვის ნამდვილი საუკეთესო დასვენება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საუკეთესო შეუძლია უწოდოს თავის საბანაკო ზაფხულს იმ პიონერმა, რომელიც არა მარტო კარგად ისვენებს ბანაკში, არამედ ვინც, ამასთან ერთად, საკმარისად ჩაერა დარბის, ხტუნავს სიმაღლეზე, უკეთესად ცოცავს და აწრთობს სხეულს; ვინც მგზავრობაში ღებულობს მონაწილეობას და სწავლობს ბევრ საჭირო და საინტერესო საგნებს; ვისაც შეუძლია დაამზადოს ზაფხულში კარგი საჩუქარი თავისი სკოლისათვის — კოლექციები, გერბარიუმები, ალბომი; ვინც თავის რგოლთან ერთად ეხმარება კოლმეურნეობას; ვინც ჩაიწერს ახალ ხალხურ სიმღერებსა და ლექსებს...

აი რა არის სასურველი ბანაკში მყოფ ყოველ პიონერ-მოსწავლისაგან.

აი რა ხდის საუცხოოდ პიონერულ ზაფხულს!

მამა და შვილი

ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობენ მამა და შვილი, სოციალისტური შრომის გმირები — ვლადიმერ და ვართან არშბები.

ყანას უმზერთ ზღვად გადაშლილს,
ო, ვინ შექნა ზღვა ასეთი!
ჰკითხეთ ბეჯით მამა და შვილს,
გეტყვით ტურფა აფხაზეთი.

სად გმირული შრომით გაჩნდა
ერთ ოჯახში ორი გმირი,
ველს ჭაობის დაღი აჩნდა,
ააყვავეს მიწა მწირი.

გადაჩეხეს ნარი, გვიმრა,
ამოაშრეს წყალი ტბორის.
შვილი მამას შეეჯიბრა,
მძაფრი იყო შეჯიბრი ორის.

ორივ მარჯვე და ჩვენია,
ორივ უყვარს მამულს ლამაზს,
მამულს მაინც ურჩევნია,
შვილი სჯობდეს მოხუც მამას.

არ მომტყდარა ის ბერმუხა,
ბრძოლები რომ ყვარებია,
ქარს ეომა, მეხს ექუხა,
ახლა მისი დარებია.

ყანას კიდევ ზღვად გადაშლის,
ვისაც შრომით გააქვს ლელო.
ბევრ ბედნიერ მამა და შვილს
ზრდის ბელადის საქართველო,

ვარლამ ჟურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მომავალი

მარიჯანი — უკანასკნელი ფურცელი დღიურიდან. — ნახატები მ. დაუშვილისა

როგორ მეჩქარებოდა გაზრდა!

როგორ მინდოდა მალე დამესრულებინა სკოლა და დიდების ტოლი გავმხდარიყავი.

და, აი, აღსრულდა! მაგრამ რაღაც სინანულსა ვგრძნობ.

მე აღარ ვიქნები იმ სკოლის მოსწავლე, სადაც ასე ლაღად გავატარე თერთმეტი წელი!

შეიძლება მისვლისას მეკარემ შემაჩეროს კიდეც, როგორც უცხო ვინმე.

ხვალ უკანასკნელად ჩავიცვამ ჩემი სკოლის ყავისფერ კაბას, შავი წინსაფრით. უკანასკნელად!

შვიდი წლისაც არ ვიყავი, დედამ რომ პირველად მიმიყვანა სკოლაში და, რადგან არასოდეს საბავშვო ბაღში არ მივლია, ბავშვების დანახვაზე შევკრთი და დედის კაბის კალთას ჩავეჭიდე.

ბავშვებმა სიცილი დამაყარეს. მაშინ ქალვაჟნი ერთად ვსწავლობდით და დედაჩემს მაინცდამაინც ეს არ მოსწონდა.

მახსოვს მასწავლებელმა უთხრა დედას:

„ვაჟებისაგან ქალები სითამამეს, გამბედაობას იძენენ და ცხოვრებაში ეს უფრო გამოადგებათ, ვიდრე ქალური მოკრძალებაო“.

დედა არ ეთანხმებოდა.

მერე მასწავლებელმა ალერსიანად მომხვია ხელი და პირველ კლასში შემიყვანა.

ქერა, ხუჭუჭთმიან გოგონა თინას გვერდით დამსვა.

ყველაფერი ჩემთვის უჩვეულო იყო: მერხები, შავი დაფა, ცარიელი თეთრი კედლები.

თვალები ცრემლებით ამევსო, მაგრამ თავს ვიმაგრებდი.

მასწავლებელმა ყველას მიგვიჩინა ადგილი, ამოიკითხა ჩვენი გვარები და სახელები, გვესაუბრა. გაგვეცნო ყველას.

ეს პირველი საათი სკოლაში, რაღაც დაუსრულებელ დროდ მეჩვენებოდა.

ზარმა რომ დაიწკრიალა, ბავშვები აიშალნენ. მე ვერ გავბედე ადგომა, მიჯაჭვულივით ვიყავი მერხზე.

როგორ გამეხარდა, ღია კარში რომ თვალი მოვკარი დედაჩემს!

ისიც მეძებდა. წამოვხტი, მივვარდი და მივეხვიე.

— რა ისწავლე?—ღიმილით შემეკითხა დედა.

— ლეილა აბაშიძე!—ვუპასუხე მე.

დიდხანს ახსოვდათ ჩვენს ოჯახში ეს ჩემი პირველი პასუხი და დამცინოდნენ. მეც მეცინებოდა.

მეორე დღეს უფრო თამამად წავედი სკოლაში და ძალიან იშვიათად თუ გავაცდენდი გაკვეთილებს. მალე შევეჩვიე ჩემს ტოლებს, ერთნაირად კარგად ვიყავი როგორც გოგონებთან ისე ვაჟებთან და ისე შემიყვარდა სკოლა, რომ ჩემს სკოლაზე უკეთესი სხვა ვერ წარმომედგინა.

ვამაყობდი ჩემი ამხანაგებით, მასწავლებლებით; თვით სკოლის კედლებიც, შენობაც მომწონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა იტყოდა ხოლმე:

— ლეილა თავისი სკოლის დიდი პატრიოტია!

მე მაშინ საკუთარი არ მესმოდა ამ სიტყვის შინაარსი, მაგრამ მიხაროდა, რომ მამა ასე ამბობდა.

ომის დროს ვიგრძენ, რას ნიშნავდა პატრიოტობა, სიძულვილი და შურისძიების გრძნობა...

სკოლის ამხანაგზე ახლობელი, მე მგონი, ძნელია ოდესმე იპოვო.

უთანხოდ მე ვერ წარმომიდგენია არც „სწავლა“ და არც „გავლა“. მე და თინა ყველგან ერთად ვიყავით. ჩვენ ერთად გავხდით პიონერები, მერე კომკავშირელები; ერთად ვისვენებდით ბანაკებში, აგარაკებზე, ერთად ვეწერებოდით ექსპედიციებში; უმაღლეს სასწავლებელშიც ერთად უნდა მოვეწყოთ.

თინა სულ ხუთოსანი იყო და მეც მაიძულებდა მასთან მხარდამხარ მევლო. თინა რომ არ ყოფილიყო, მე ალბათ არ მივიღებდი მედალს.

როგორ გაეხარდა დედაჩემს!

რამდენი მწუხარება გამოიარა საბრალო დედამ! რამდენი ჯაფა და უძილო ღამეები, რომ ჩვენ გვესწავლა.

1941 წელი. აგარაკზე ვიყავით. სულ სამოთხე დღის ჩასულები.

მოვისმინეთ მოლოტოვის სიტყვა რადიოთი. თავზარდამცემი იყო სიტყვა „ომი“. თბილისიდან მივიღეთ მამის დეპეშა:—ჩამოდით, მობილიზებული ვარო... ყველაფერი ეს, ისე ჩამრჩა მეხსიერებაში, თითქოს გუშინ მომხდარიყოს.

რა აურზაური იყო სადგურზე! ხალხი ირეოდა. ბარგი ზვინებად დაგროვდა ბაქანზე. სადგურის უფროსი გამწარებული დარბოდა. ბილეთების გაცემაზე უარს ამბობდა. ხალხი უბილეთოდ აწყდებოდა მატარებლებს.

დედა მარტო წამოვიდა იმ ღამეს. ჩვენ, მე და ჩემი უმცროსი და, დიდედასთან დავრჩით.

ჩვენ ვტიროდით. დიდედა გვაწყნარებდა. გვიამბობდა პირველ მსოფლიო ომზე, გერმანიის, ავსტრიისა და ოსმალეთის კავშირზე და გვარწმუნებდა, რომ დიდ საბჭოთა არმიას ეგრე ადვილად ვერავინ აჯობებსო.

იმ ღამეს სულ არ გვეძინა. მამა მედგა თვალწინ. მამაზე ვფიქრობდი, ვღელავდი.

არც მეორე, არც მესამე დღეს დედისაგან არავითარი ცნობა არ მოგვსვლია.

მოაგარაკენი ტელეფონს და რადიოს შორდებოდნენ. ერთი კვირის შემდეგ ბანაკებიდანაც გაიყვანეს პიონერები და აგარაკები სულ დაცარიელდა.

დიდედა ისევ წყნარად გველაპარაკებოდა:

— არაფერია, რა ვუყოთ! ომის დროს ძველად ხალხი მთებში იხიზნებოდა... თქვენ კი მთებიდან ქალაქში აპირებთ წასვლას...

ბებია ფრონტზე ნამყოფი იყო, გამოცდილი, მაგრამ მე იმისი სიწყნარე მაბრაზებდა. მინდოდა მამა მენახა. მეშინოდა, რომ ფრონტზე უჩვენოდ წავიდოდა.

ასე ერთი კვირა გავატარეთ.

მოულოდნელად, შუა ღამისას, მამა თავზე დაგვადგა.

შვენოდა სამხედრო ექიმის ტანისამოსი. ცისფერი თვალები შემოანათა ჩვენს ჩაბნელებულ ოთახში. ჩვეულებრივად იღიმებოდა. კარგ გუნებაზე იყო. გვიალერსებდა. გვიამბობდა რა ხდებოდა ქალაქში. იმ ღამესვე შეგვიკრა ბარგი და დილაადრიანად წამოგვიყვანა თბილისში.

მე მაშინ თერთმეტი წლისა ვიყავი. მეხუთე კლასში გადავედი.

აი, ახლა, მე მამის მაგიდასთან ვზივარ, ვწერ ამ ფურცელს და მისი სურათი დამცქერის. როგორც ცოცხალს, ისევ ჩიბუხი აქვს პირში.

უჩიბუხოთ მამა არავის არ ახსოვს. ერთობოდა ამ ჩიბუხით.

ეს ჩიბუხი მე გაჩუქე მამიკო...

ნახევარი წლის შემდეგ, იანვარში, მამა გაგზავნეს ფრონტზე.

წყეული ფაშისტები!

დაიწყო დაუსრულებელი ლოდინი. ველოდით დეპეშებს, წერილებს, ცნობებს, გამარჯვებას, ომის დასრულებას.

დედა პირდაპირ ჩამოხმა. დღე და ღამე მუშაობდა, რომ არაფერი დაგვკლებოდა. ეზიდებოდა ულუფებს, ჰქსოვდა, ხატავდა, ქარგავდა.

ჩვენ არასოდეს არ გვაცდენდა, რომ კარგად გვესწავლა და მამა კმაყოფილი ყოფილიყო.

დიდხანს გვიმალავდნენ ჩვენ, ბავშვებს, მამის სიკვდილს.

დედა ვაჟკაცურად იქცეოდა და ხშირად ჩვენს გასაგონად თავისი საყვარელი პოეტის ვაჟას სიტყვებს გვიმეორებდა:

„ჭირში ყოფნის დროს გაძლება
მუდამ ვაჟკაცის წესია“.

მე აზრადაც არ მომდიოდა, რომ დედა ამაყობდა მამაჩემით, როდესაც კითხულობდა:

„განა ყველა რაც ხმელია,
კაცისგან საწუნარია?
ათას ცოცხალსა ბევრჯელა
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“.

რა ვიცოდი, რომ ამ დროს დედა მამას გულისხმობდა!

ეს ერთი მკვდარი—ჩემი კეთილი, თავდადებული მამა იყო თურმე.

და, აი, ახლა მე უეჭველად შევალ სამედიცინო ინსტიტუტში, ექიმი ვიქნები და ისევე ერთგულად ვუმკურნალებ ხალხს, როგორც მამა მკურნალობდა.

რამდენჯერ გამიგია ავადმყოფებისაგან:

„კარგი ხელი აქვს ამ ექიმს“.

„კარგად მაქვს დაცდილი ამის ხელი“.

„მაგის მარჯვენამ იხაროს“.

მამა, ჩემო მამა!

აი, ამ კარებზე დარჩა შენი ხელით დახაზული ფანქრის ზოლები.

შენ ამ კარის ჩარჩოზე, აგარაკზე წასვლისას, უკანასკნელად დანიშნე ჩემი და ჩემი დის სიმაღლე და ვეღარ შეამოწმე, თუ რამდენად გაიზარდნენ შენი გოგონები...

უკვე დიდიხანია გადავცდით ამ ხაზებს, გავიზარდეთ, დავქალდით... და დღეს როცა მეკითხებიან: რა მიზანი გაქვს ცხოვრებაშიო, ჩემო საყვარელო მამა, მე შენ გაძლევ სიტყვას: შენი ლეილა შენს სახელს არ შეარცხვენს...

მე შევისწავლი ყოველივეს, რაც შენ იცოდი. მე გავეცნობი შენს ნამუშევარს, შენს ნაწერებს და ამით მინდა გავაგრძელო შენი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე, შენი საქმე და ღირსეულად ვემსახურო ჩემს ხალხსა და სამშობლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ ცხოვრობდა კალინინი

თბილისში, საბჭოს ქუჩაზე 1900 წელს
ცხოვრობდა მიხეილ ივანეს-ძე კალინინი.

საბჭოს ქუჩაზე სახლი დგას,
სახლი უბრალოდ ნაგები,
შევალ და თითქოს კედლების
ათრთოლდებიან ბაგები.

ქვა თუ აგურის ნატეხი
მზის სინათლეში ჩამჯდარა,
რა ბევრს მეტყველებს ცისფერი
ორი პატარა ფანჯარა.

როს საყვირის ხმას მიჰყვება
ხალხი შრომისთვის ამდგარი,
ფანჯრებში შემოიჭრება
რუხი დაზგების დგანდგარი;

ასე მგონია, რომ ისიც
ჩარხავს მანქანის ნაწილებს
და ცეცხლთან დიდი ლენინის
სიბრძნეს უნერგავს არწივებს.

და მაშინ, როცა სალამო
მალალ მთებს ნისლში მიმალავს,
მწამს ამოჰყვება კიბეებს
სინათლისაკენ მიმავალს.

დიდება სახლო პატარავ!
ვკოცნი შენს დამცხრალ იარებს,
შენ, როგორც თანავარსკვლავი,
გორის გარშემო ტრიალებ.

ვახტანგ გორგანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ნემსაძე

ნახ. ნ. ფოფხაძისა

წერილი მეორე

საბანაკო ხაზი და ანძა

ბანაკის ცენტრალურ ადგილას ეწყობა საბანაკო ხაზი, რომლის შუაშიც აღიმართება 15-20 მეტრის სიმაღლის ანძა. ანძაზე დამაგრებულია დროშა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აღიმართება და საჭიროების შემთხვევაში დაეშვება.

ყოველ დილას და საღამოს ბანაკის მთელი რაზმეული, რაზმების მიხედვით სდგება საბანაკო ხაზზე (მათთვის წინასწარ განკუთვნილ ადგილას). ხაზზე მოწყობა ხდება ისეთივე წესით, როგორც სკოლის რაზმეულის ხაზზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ რაზმები სდგებიან ანძის გარშემო ოთხკუთხედად.

რაზმების საბჭოს თავმჯდომარეების მიერ რგოლის ხელმძღვანელებიდან პატაკების მიღების შემდეგ—ბანაკის უფროსი მორიგე იძლევა განკარგულებას:

„დროშის გამოტანისათვის რაზმეულო, სმენა“; რაზმეულის მედოლე უკრავს მარშს. მედროშეს გამოაქვს გაშლილი დროშა მარცხენა ფრთიდან და მწყობრის წინ გავლით სდგება მარჯვენა ფრთაზე. „თავისუფლად“! იძლევა განკარგულებას ბანაკის უფროსი მორიგე და იწყებს პატაკების მიღებას რაზმის საბჭოს თამჯდომარეებიდან. (ის რაზმი, რომლის საბჭოს თავმჯდომარე აბარებს პატაკს, სდგას „სმენაზე“). პატაკების ძიღების შემდეგ უფროსი მორიგე ბანაკის მთლიანი მდგომარეობის შესახებ აბარებს პატაკს ბანაკის უფროსს, ან უფროს პიონერხელმძღვანელს.

პატაკის შინაარსი ასეთია:

„ამხანაგო ბანაკის უფროსო! ლ. პ. ბერიას სახელობის ქობულეთის რესპუბლიკურ პიონერ ბანაკში იმყოფება 300 პიონერი, ხაზზე ესწრება 300. რაზმეული მზად არის დღის რეჟიმის შესასრულებლად. ბანაკის უფროსი მორიგე წულაია“.

ბანაკის უფროსი მიესალმება პიონერებს.

უფროსი მორიგე იძლევა განკარგულებას: „ბანაკო სმენა“! რაზმეულის მედოლე და მესაყვირე უკრავენ ტუშს. პიონერები მღერიან სსრ კავშირის, ან საქართველოს ჰიმნს და ანძასთან მყოფი მორიგე პიონერი ანძაზე ასწევს დროშას.

ანძაზე დროშა აღიმართება—ბანაკმა მუშაობა დაიწყო. უფროსი მორიგის განკარგულებით რაზმეულის დროშა მწყობრის წინ გავლით გააქვთ.



ამის შემდეგ უფროსი მორიგე აცნობს იმ დღის რეჟიმს, რომელიც წინა საღამოს იქნა შედგენილი და ყველა პიონერისათვის ნათელი ხდება, თუ რა უნდა გააკეთოს მისმა რაზმმა აღნიშნულ დღეს.

საღამოსაც ეწყობა ასეთივე ანალოგიური ხაზი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ პატაკებში აღინიშნება, თუ რომელმა რაზმმა როგორ შეასრულა დღის რეჟიმი.

საბანაკო ხაზზე ხდება საუკეთესო პიონერების გამოცხადება. ბანაკის უფროსის ბრძანებების გაცნობა, წესრიგის დამრღვევ ბავშვებისათვის შენიშვნების მიცემა და ასე შემდეგ.

მორიგეობა პიონერულ ბანაკში

დიდ პიონერულ ბანაკში მორიგედ ინიშნება რაზმი, რომლის ხელმძღვანელი ითვლება ბანაკის უფროს მორიგედ, ხოლო აღნიშნულ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე უფროსი მორიგის მოადგილედ.

მორიგე რაზმის რგოლებს შორის ნაწილდება დავალებები: ერთი რგოლი ინიშნება სამორიგეოდ ბანაკის ტერიტორიის დაცვისათვის, მეორე სამზარეულოში სამუშაოდ, მესამე საცხოვრებელ კორპუსებში წესრიგის დაცვისათვის და ასე შემდეგ.

რგოლის, რაზმის და ბანაკის დღიური

ყოველი დღის ბოლოს ბანაკში პიონერები წერენ დღიურს. რაზმისა და რგოლის დღიურებს წერენ პიონერები რიგ-რიგობით, ხოლო საბანაკო დღიურს წერს მორიგე პიონერული რაზმი. დღიური უნდა იყოს საინტერესო, ლამაზად დაწერილი და გაფორმებული ნახატებით, სურათებით, ბავშვთა ლექსებით.

დღიურის პირველ ნაწილში პიონერებმა უნდა ასწერონ დღიური მუშაობა. ხოლო მეორე ნაწილში უნდა გადმოგვცენ თავიანთი შთაბეჭდილებანი და განცდები ჩატარებულ მუშაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა მესხი

მურმან ლებანიძე

ნახატები ალ. გოგოლაშვილისა

მოთხრობა

თავი პირველი

თიბათვე

— ჰოი, დალახვროს ეშმაკმა! — წამოიძახა პაპა კახაბერმა, როცა ღერძგამსხვრეული ორთვალა მარცხნივ გადაიღრიცა და თივით სავსე ურემი ვიწრო კლდეში გატეხილი საბძელივით აისვეტა.

არა, რა ჰქნას ახლა პაპა კახაბერმა! მარჯვნივ — კლდე, მარცხნივ — უფსკრული... არც წინმძღოლი ჰყავს, არც ვინმეა ახლოს, აღარც ძველი ჯანი მოსდევს ბერიკაცს, ურემი კი გახიდულა კლდეში და დაოჩნებული ხარების ქოშინზე გულშემაღონებლად ირწევა უფსკრულის ქიმზე.

თიბათვე. თეთრი ანაგვირილა და ცეცხლისფერი იელი სერი-სერ. მზე მთებში ჩაიწვერა, ძირს მდინარე გრგვინავს და იისფერ საღამოს ველიბილის თივის სუნი და ფოცხვრევის ნისლების საამო სიგრილე მოაქვს კლდეში.

— ეჰეი, რომელი ხარ მანდ! — გასძახის პაპა კახაბერი ალალბედზე. არავინ პასუხობს. კლდე კი აბრუნებს მიღებულს:

— ეჰეი, რომელი ხარ მანდ!

უკანასკნელმა ურმებმა მშვიდობით ჩაიარეს თამარის კლდე, ფოთლიანში ჩაყოლარუნეს ეკვნები და ვაკეზე გაბაჯბაჯდნენ.

ჰაი დედასა! დასტოვეს პაპა კახაბერი ამ ტიელ კლდეში, დაღლილი, დაოჩნებული ხარებით, გატეხილი ღერძით და გატეხილი ჯანით. მერე და ვინ დასტოვა?! სხვას თავი დავანებოთ—გუშინდელმა ბარტყებმა, მის ხელში დაჩიტულმა, მისმა გაზრდილმა ბიჭებმა: გოგია ზვარელმა, შაქარა ზვარელმა, ზაზა მესხმა და ზვარელების სახლისაშვილმა უშოლთელმა ნოდარა დაუშვილმა.

ჰაი დედასა! დაბერდა პაპა კახაბერი, თორემ რა სჭირდა მაგათი საშველი! დილით წასული სამ საათში აივლიდა ოც ვერსს, ქოლოსუკან გავიდოდა, სადილობამდე საბძლისოდენ ურემს დაუდებდა და სამხრობისას პირველი ჩამოვიდოდა ზვარეთს. მოსწრებული ბიჭები მხარში ედგნენ — მეორე უღელ ხარს მოჰყვებოდნენ. თაკილობდა პაპა კახაბერი, — თქვენს ურემს მიხედეთო, ახლა კი...

— ეჰეი, რომელი ხარ მანდ?..

არავინ პასუხობს.

ურემს ჩაეჭიდა მოხუცი, მარჯვნივ უმარჯვებს; ვაი, თუ გაიწიონ ხარებმა, — თავსაც ჩაჰკარგავენ ხრამში და ურემსაც. მადლია ახლა ერთი წინმძღოლი! როდემდე

იდგეს ასე პაპა კახაბერი?! ხელი ჩაიქნია, ქვაზე ჩამოჯდა, ყალიონი გააჩაღა და ჩაფიქრდა.

* * *

ქლიავისფერი ბინდი ჩამოიშალა სერისერ.

სოფელში ჩოჩქოლია. ჭრელკაბა გოგონებს თვალი თამარის კლდისკენ მიექცათ. ღობე-ღობე დადის ჩურჩული: ამაღამ მთვარე ამოვა—სავსე მთვარე, თივობა ჩამოთავდება, — ღამის თევა იქნება ამაღამ.

კალოკართან მარინე, მზია და ხათუნა მოდგნენ. ნუნუ აივანზე გამორბის თმის ვარცხნითა და კაბის სწორებით.

— მზადა ხარ, გოგო!

— მზადა ვარ, მზადა!

ახლა ოთხნი დგანან მეხუთე კალოკართან. მერე — ხუთნი მეექვსესთან...

— მზადა ვართ, მზადა!

ამაღამ თივობა ჩამოთავდება, მთვარე იქნება ამაღამ; ბებერ კაკალზე ჩამოჯდება გაბადრული და წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს შემოირიგებს შტოებზე.

დაირებს ახურებენ თონეზე. ნამცხვრითა და შემწვრით სავსე ხელკალათებს ხათუნაანთსა აგზავნიან დედები. ახსოვთ თავიანთი ახალგაზრდობა, და ნაქურჩლით დაცობილ თითო ბოთლს კალათის სახელურისათვის მიუბჯენია კისერი.

— მზადა ხარ, გოგო?

— მზადა ვარ, მზადა!

ბიჭები კი არ ჩანან.

ნეტა რად დააგვიანდათ მემთეურებს?! წუხანდელი წასულები არიან და სადილობამდეც უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ჭრელკაბა გოგონებს თვალი თამარის კლდისკენ მიექცათ.

* * *

ოცდაათი ურემი ოცდაათი დათვივით მობაჯბაჯებს, ოცდაათი შოლტი მოსტკაცუნებს, ოცდაათი წყვილი ეჟვანი მოსჟღარუნებს, ოცდაათი ფარანი მოსცახცახებს, და ნაურმალზე რჩება შემჭკნარი მთის ბილილა, რძია-რძია და ვაციწვერა.

მოხვეულში ოცდამეცხრე ურემი შეჩერდა.

— ნოდარ, დააყენე ურემი!

შედგა ოცდამეათეც. ხარებმა მეწინავე ურემს თივა ჩამოსწიწკნეს.

— რა ჯანდაბამ გაგაჩერა, ბიჭო, გასწი, გვიანდება!

— პაპა კახაბერი არ ჩანს!

— წინ იქნება!

— არა, უკან მოგვდევდა... ჩამოგვრჩა, შევუცადოთ!

ბიჭებმა ხარებს აპეური შეუშვეს, ფარანები ლოდზე ჩამოდგეს, გზის პირად ჩამოსხდნენ და ყური მიუგდეს.

ერთხანს ისევ ისმოდა მეწინავე ურმების ეჟვნების ჟღარუნი, შოლტების ტკაცუნი, ფოლადით შემოსილტული თვლების სხლტომა ქვა-ღორღზე და თივის შრიალი, მერე ყველაფერი მიწყდა და ვარსკვლავების ლიცლიცს ჭრიჭინობლებმა ააყოლეს ჭიანურები.

ჭრრ... ჭრრ... იქნებ იმ მოლიცლიცე ვარსკვლავებზე სხედან თიბათვის დაუმცხრალი მესაკრავენი!

სიჩუმე. მერე ისევ — ჭრრ... ჭრრ...

ურმიდან ქვასავით ჩამოვარდა უზარმაზარი კუტკალია, ნოდარს შუბლზე დაეცა, მერე ისკუპა, აბობღდა ლოდზე, იდაყვები შეისწორა და ფარანს ელამი თვალები მიაჭყიტა.

უშოლთელმა უსიამოდ მოისვა ხელი შუბლზე და საჩქაროდ წამოდგა:

— აკი გითხარი წინ არი მეთქი! გასწი ზაზა, წავიდეთ, ამაღამ ღამისთევაა. გოგონები თავს მოიკლავენ, რომ არ ჩავუსწრო, პირობა მაქვს მიცემული, უჩემოდ არც ეღირება ღამისთევა...

არ ეჭაშნიკა ზაზას ნოდარის სიტყვა. წინ არისო მოხუცი, იცრუა ნოდარმა. შუა შქმერში, როცა სახლში დროულად ჩასვლის იმედი ჰქონდა ყველას, აკი თვითონ უთხრა ზაზას: ჩამოგვრჩაო პაპა კახაბერი...

— შევიცადოთ ნოდარ, რა მოუთმენელი ყოფილხარ! — წასცდა ზაზას და თითზე იკბინა.

დაუშვილმა ლოყები აილეწა, ფარანი აიტაცა, შოლტი შეატკაცუნა და ხმაში ფოლადი გაურია:

— ჯანდაბამდე გზაც გქონიათ! გადააყენე ურემი!

ზაზამ ერთხელ კიდევ იკბინა თითზე, დავამშვიდებო იფიქრა, მაგრამ გვიანლა იყო. უხმოდ შემოუარა გზაზე გახიდულ წინა ურემს, ფართოში გაიყვანა და მარცხნივ გადააყენა.

ნოდარმა ურემი დაძრა. მისი შოლტის ტკაცუნი და გაბრაზებული ყიჟინი მალე ღამეში ჩაიკარგა.

თამარის კლდისთავს მთვარე შემოჯდა. ჭრრ... ჭრრ... ლიცლიცებენ ვარსკვლავები. ამაღამ ღამისთევაა ხათუნაანთსა, ნოდარი სუფრის თავში დაბრძანდება, რა თქმა უნდა. ირგვლივ მზია, ხათუნა, მარინე და... ნუნუ შემოუსხდებიან...

ჰო, ნუნუც იქ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მეცხრედ წასთვლიმა, მეცხრედ გამოფხიზლდა და მეცხრედ გააჩაღა ყალიონი პაპა კახაბერმა.

მიატოვეს მოხუცი ღია ცისქვეშ და სოფელს მიაშურეს. ახლა, ალბათ, ნავახშმევია ყველა და, ძილის წინ, ბუხართან საუბრობენ ხვალის დღისას.

ჰაი დედასა, რა ბიჭები მოუკლეს ომში კახაბერ ზვარელს!..

შვილებმა შვილიშვილი გაახსენეს მოხუცს: უფროსი ვაჟის ასული ნუნუ. გულზე მწუხრი შემოაწვა.

თექვსმეტი წლისაა ნუნუ, ქალაქში ცხოვრობდა დედ-მამასთან ერთად. მამა ლაშქარს წავიდა. ორმოცდაათხ წელს ფილტვები დაეჩრდილა გოგონას. დედამ ექიმების რჩევით თბილისი დასტოვა და ერთადერთი იმედი, ერთადერთი შვილიშვილი რაჭაში ჩამოჰგვარა პაპა კახაბერს.

დაენაცვლოს პაპა კახაბერი ცუგრი-გოგოსა! ღვთისნიერია, ჭკვიანი, — ქვეყანას ურჩევნია პაპა კახაბერი. ოღონდ... ნამეტნავად მგრძნობიარეა და გულის ამყოლი; ამაღამ არ დაიძინებს დარდით და დილით გადაყვითლებული ლოყებიღა შერჩება პაპა კახაბერს საამბოროდ.

არა, რაღა ამ კლდეში გატყდა ის ოხერი ღერძი! ღერძის გამოცვლას ვინ ჩივის, განძრევისა გეშინია, — ხარები არ დაფრთხნენ და ხარ-ურემი სრულად არ გახდეს გამოსაცვლელი.

მაგრამ, ჩუ, ნეტა, ვინ მოდგა ურემს წინ! დაწოლილი ხარები ფეხზე წამოცვივდნენ და ქვებზე ნაპერწკალი გაჰყარეს.

— გაიღვიძე, პაპა კახაბერ, გაიღვიძე!

რაო, ეჩვენება ალბათ მოხუცს. შენ ჰეი, ვიღაც მოჩვენებავ, სრულიადაც არა სძინავს პაპა კახაბერს, ყალიონს აბოლებს და უცდის გათენებას!

— გაიღვიძე, პაპა კახაბერ, გაიღვიძე!

— ეჰეი, რომელი ხარ მანდ?!

— მე ვარ, პაპა კახაბერ, ზაზა!

— რომელი ზაზა ხარ, ბიჭო?!

— ზაზა ვარ, მესხი! რად გიკვირს, რომელი ზაზა ვიქნები!

პაპა კახაბერს სიხარულმა დაჰკრა, — კინაღამ მუხლი მოეკვეთა.

— გენაცვალე, ბიჭო, გენაცვალე!..

გენაცვალე ბიჭი რქებზე გადმოევლო ხარებს, ცხენოსნისსიმაღლე ურემს გადმოაცოცდა; ფარანი ღერძს მიანათა, ჯერ წარბი შეჰკრა, მერე მოხუცს ხმელ ხერხემალზე ხელი ძმაკაცივით დაჰკრა, და ისევ გადააცოცდა ურემს მოჩვენებასავით,

— აბა, მოეკიდე პაპა კახაბერ და მარჯვნივ უმარჯვე!

ურემი ქვებზე სხლტება და წელგათრეულივით ნელი-ნელ მიიწევს წინ.

— აგრე, ბიჭო, აგრე!

ნახევარი საათის შემდეგ ურემი ფოთლიანში შეჩერდა.

— შენი ხარები სადღა არიან? — ჰკითხა მოხუცმა.

— ქვევით. იქამდეც ჩავალთ, ახლა კი ეს თელა წამოვაქციოთ, საღერძეა ნამდვილად. — უპასუხა ზაზამ და ქამარში გაჩრილი წალდი გაიძრო.

* * *

სოფელი მემთეურების დაბრუნებამ ააყაყანა. ურმები საბძლებმა მიიბარეს და ჩასთვლიმეს. ბიჭებმა ტანსაცმელი გამოიცვალეს, ხელ-პირი დაიბანეს და ღობეებს გადააფრინდნენ.

— მოდიან, მოდიან! — იტკრციალეს გოგონებმა, კაკლისქვეშ გაშლილი გრძელი

სუფრა მიატოვეს, შარაგზაზე გამოცვივდნენ და ბიჭებს „რაშოვდა“ მიაგებეს.

ბანი აკლიათ გოგონებს, ბანი! შაქარა ზვარელს შარშან დაუბოხდა ხმა, ყელს ღობეზე შეფრენილი ყვინჩილივით იღერებს, ნოდარს ძმაკაცურად ეყრდნობა მხარზე და სხვებსაც აქეზებს.

გუგუნებს „რაშოვდა“, გრიალებს დაირა, პაწაწა ეჟვნები საყურეებივით ირხევიან და ყლრიალებენ...

უცებ ხათუნამ სიმღერა შეწყვიტა და ბიჭებს თვალი მოავლო; ვერ იპოვა ვისაც ეძებდა. მერე ნოდარს მკლავში ხელი მოჰკიდა და ხმამაღლა ჰკითხა:

— ზაზა სადღა არი, ზაზა?!

ნოდარს უსიამოვნება აესახა შუბლზე. წაუყრუა.

— ნოდარ, — ისევ გაბედა ხათუნამ, — აკი გითხარი ზაზასთან ერთად მოდითქო, სად არის ზაზა?!

— ზაზა?! მე რა ვიცი! მოვა ალბათ, გზაში ვუთხარი ღამისთევაზე გვიგვიანდება მეთქი, ის კი თამარის კლდეში დარჩა მაინც. აიჩემა, პაპა კახაბერი ჩამოგვრჩაო...

ზაზა რომ არ ერია ბიჭებში, ადრევე იგრძნო ნუნუმ, ახლა პაპა კახაბერიც ახსენეს — ჩამორჩაო მემთეურებს... ელდა ეცა და გაიწია:

— მივდივარ!

სწორებმა იციან ნუნუს ხასიათი; მზია და მარინე გააყოლეს შინ. ერთი საათის შემდეგ ოგონები მობრუნდნენ:

— წავიდნენ!..

— ვინ წავიდნენ?!

— ნუნუ და ზაზას დედა — ქეთევანი!

— სად წავიდნენ?!

— თამარის კლდეში, პაპა კახაბერთან შესახვედრად!

შაქარამ და გოგიმ ნოდარს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს:

— გოგონებო, თქვენს დობას ვფიცავთ, გაკვირვებასა ვართ!

ნირშეცვლილმა ნოდარმა იხტიბარი არ გაიტეხა და უხერხულობის გასაქარწყლებლად საცეკვაო მოითხოვა.

სიყვარულისას ვინ იტყვის, მაგრამ ცოტა შიში და მორიდება აქვთ დაუშვილისა.

გუგუნებს დაირა, ეჟვნები უნიათოდ ყლრიალებენ, სიმღერასა და ცეკვას ძალდატანება ემჩნევა, ორიოდე წრეს შემოუვლიან გოგონები და განზე გადგებიან.

მთვარემ რახანია მიატოვა კაკლის კენწერო და სამთვაროს უახლოვდება. ვარსკვლავები მიიბეჟუტენ. სოველი სიგრილე მოაქვს დილის ნიავს და ცისკრის შუქურა ანთებს ცებს ცისკიდურზე.

ნელი-ნელ გაიკრიფნენ ღამისმთევლები. ხუთიოდე ვაჟი და ამდენივე გოგონა უზის სუფრას, ისინიც მზად არიან წასასვლელად, თამადა კი თვლემს მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი. დროდადრო გამოფხიზლდება, თითისწვერებზე შემდგარ მეზობელს ძალით მოისვამს გვერდით და ისევ წასთვლემს.

— ნოდარ, ავიშალოთ! დროა! — ჩასჩურჩულებს ყურში შაქარა.

— რაო, რა თქვი?!

— ავიშალოთ მეთქი, ეაწუხებთ ხალხს, ეძინება ხათუნას!

— ჰო, წავიდეთ, ვდგები!

და როცა ადგა, შარაგზაზე შოლტების ნაცნობი ტკაცუნი გაისმა. კალოკარის გაღება აღარ დააცალა ხათუნას, ღობე გადაამტვრია და ურმებს წინ გადაუდგა.

მოგრუხუნებენ ურმები, შრიალებს თივა, მარჯვენა კავებზე ჩამქრალი ფარნები ირწევიან. პაპა კახაბერის ურემს ქეთევანი უძღვის წინ — გოროზად წარბშეკრული და მხნე.

ზაზას ხელი უკიდია ურემზე, ნუნუ უძღვის ხარებს; ფერგამკრთალს, მთის ბილილისა და ანაგვირილას გვირგვინი ადგას თავზე.

— დილამშვიდობისა, ახალგაზრდებო! — ამბობენ ძუნწად დეიდა ქეთევანი და პაპა კახაბერი.

— გამარჯვებათ, ბიჭებო!—ამბობენ ზაზა და ნუნუ.

ჩაიარეს ურმებმა. ხტიან ფოლადით შემოსალტული თვლები ქვა-ღორღზე და ირხევიან ნუნუს შუბლზე ჯერ კიდევ ცოცხალი მთის ბილილა და ანაგვირილა.

თავი მეოთხე

„ლ ა ხ ტ უ რ ი“

სხვა ქალია დეიდა ქეთევანი: გამრჯე, მოსიყვარულე, ვაჟკაცური, მაგრამ ცოტაც მკაცრი და უთქმელი. დეიდა ქეთევანს ეძახის მთელს სოფელში დიდ-პატარა.

— არა, აგრე რად მაბერებ, შე კაი კაცო, რა დეიდაშენი მნახე, ჩემი ზაზას კბილა უმცროსი გოგო გყავს!

კარის მეზობელი გაიღიმებს და მხარზე სიყვარულით მოუთათუნებს ხელს:

— დეიდა ქეთევან, მათხოვე ცალი ხარი — ჩემსას ქედი აქვს ნატკენი!

დეიდა ქეთევანი იფეთქებს:

— არა, რამ დაგაბეჩავათ, თქვე ჩემი ცოდ-

ვით სავსეებო! მარტოხელა ქალი ვარ, ქმარი ომში დავკარგე, ერთ ბიჭს შევცქერი... მე უნდა გათხოვოთ ხარ-ურემიცა და ცხენიც!— მერე ღიმილი აესახება სანდომიან პირსახეზე და დაუმატებს:

— ზაზას ჰყავს შეშაზე; უკანასკნელ გზობას სადილობამდე ჩამოათავებს და წაიყვანე!

ფუსფუსებს, ტრიალებს, მუდამ რაღაც აქვს დამთავრებული, მუდამ რაღაც აქვს დაწყებული, მუდამ იმედი უძევს გულში... ცრუობს დეიდა ქეთევანი, — ერთ ბიჭს შევცქერიო. ერთს შეცქერის და კიდევ აგერ, აი, იმ პირსავსეს, კეთილად გაღიმებულს, შავულვაშას, შავგვრემანს და შავსავე ჩარჩოში მკერდამდე ჩამდგარს...

ვისაც ვინმე თავისი ხელით არ დაუმარხავს, მოვაო სჯერა!

შავი ქაღალდი აგერ, იმ შავ ჩარჩოშია გაჩრილი, იმედი კი თეთრი ქაღალდია და გულში ფარფატებს...

იფარფატე თეთრო ქაღალდო, იფარფატე!

ან კი რად არ იფარფატებს თეთრი იმედი შავი ქვრივის გულში! აგერ უკვე მეცხრე კლასშია დედისერთა. თექვსმეტი წლისა ეხლახან შესრულდა; გაიბადრა, ივსება და რანია თეთრსა და შავს არჩევს, ქვეყნისა გაეგება. აზრით ოცდახუთი წლისას ჰგავს, მუყაითია, ხელმარჯვე. თლის, ხერხავს, ჩეხავს, ლობავს... თანაც ხატავს.

ბიჭია მეთქი, ბიჭი, მაგას დაენაცვლოს დედამისი!

არა, ეს ხატვა ვინღა ასწავლა ნეტა?

ერთხელ შავთავშალმობურვილი, წარბშეკრული ქალი დახატა. იჯდა მთის ქალი პატარა კალოზე და სიმინდს არჩევდა. დიდ ხანს ხატა ზაზამ; როცა დაამთავრა, პაპა კახაბერმა ხელი გაშალა და წამოიძახა:

— ხალხო, ეს ხომ დეიდა ქეთევანია!..

ბიჭია მეთქი, ბიჭი, მაგას დაენაცვლოს დედამისი!

აი, ახლაც აივანზე ზის წიფლის ფიცარს თლის და ღიღინებს.

— შვილო ზაზა, რას აკეთებ?

— არაფერს, დედიკო, არაფერს!

ქვრივი ზეზე წამოდგა, გარჩეული ლობიო ფოხალში ჩაჰყარა, წინსაფარი შეიბერტყა და აივნისაკენ გაემართა.

ბიჭმა დედის ფეხის ხმა გაიგო, გამზადებული ჩარჩო სავსე ტომრის უკან დამალა და ახალ ფიცარს დაუწყო თლა.

ქვრივმა კოკა შემოიდგა მხარზე და წასვლა დააპირა, მერე უცებ ჩარჩოს დაადგა თვალი და წარბი შეიკრა:

— ოჰო, მხატვრობა დაგიწყია ისევ! გამიწყალე მეთქი, ბიჭო, რაც კი სადმე ტილო მქონდა! თეფშების საწმენდი არ გააკრა ზედ, თორემ ვერ გადამირჩები!

ნეტა, ის ზეთის საღებავია თუ დღეზანა, სადღა შოულობს! — გაიფიქრა ქვრივმა, მერე ეზოდან ამოსძახა:

— ქათმებზე თვალი გეჭიროს, ბოსტანში არ გადავიდნენ და პამიდორი არ გამოკენკონ!

* * *

აფორიაქებული დაბრუნდა დეიდა ქეთევანი სახლში; ქვრივი ქვრივს შეხვედრია წყაროზე, გადაუკოცნიათ, მოუკითხავთ ერთი-მეორე. ორ ნაბიჯზე ცხოვრობენ ერთმანეთთან და ბარე სამი კვირაც იქნება არ შეხვედრილან. უყვართ ქვრივებს ერთმანეთი. ვინ იცის რად?! იქნებ იმისათვის, რომ ორთავე ქვრივია, ან იქნებ იმისათვის რომ ორთავე თითო მზეს შესცქერის — თითო სიყრმის შვილს!

კოკები აავსეს, ლაშქარს დაკარგული ქმრები გაიხსენეს, იტირეს, სხვაც აატირეს, მერე ელისაბედმა ცრემლები შეიმშრალა და ჩურჩულით თქვა:

— უბედური დედა ვარ, ქეთევან, უბედური!



— რაო, რა მოგივდა, ქალო! — გაიოცა დეიდა ქეთევანმა.

— ნუნუ მყავს ავად... წევს!

— მერე და რა მოგდის, ქალო, ავად არავინ ყოფილა?!

— ეხ, ჩემო ქეთევან, ავადმყოფობაცაა და ავადმყოფობაც! თუმცა... იქნებ იმდენიც არაფერი იყოს, რამდენადაც ამხანაგები ერიდებიან!

რაო, ამხანაგებიო?!—გაიკვირვა ქვრივმა. სხვისი უბედურება მარტო სხვისი არ არის დეიდა ქეთევანისათვის; რეტდასხმული მოალაჯებს შარაგზაზე და ფიქრობს. ამხანაგები ერიდებიანო ბავშვს. ვინ არიან ის „ამხანაგები", ელისაბედმა რომ თქვა?! ზაზა და ხათუნა — აბა, სხვა ვინ?!..

აფორიაქებული დაბრუნდა დეიდა ქეთევანი სახლში. კოკა ისე მიაჯახა იატაკს, რომ მაგიდაზე გარეცხილი თეფშებიდან კინაღამ ისკუპეს ჩანგლებმა.

— ზაზა!

არავინ პასუხობს.

— ზაზა, სად დაიკარგე, ბიჭო?!

ბოსტანში გადაიხედა ქვრივმა — არავინაა. ქათმები კენკავენ პამიდორს. კარზე ვენახი შემოირბინა — არც იქაა ვინმე.

— ცამ უყო პირი თუ მიწამ! ზაზა, სადა ხარ, ბიჭო!

ღობეზე მეზობლის ბიჭები გადმოდგნენ:

— დეიდა ქეთევან, ზაზა არ არის სახლში?

დეიდა ქეთევანმა არაფერი უპასუხა, დინჯი შემოიყარა და კარმიდამოს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი. მერე ბიჭებს მიუგდო:

— მოდით აქ, ერთი ეს ქათმები გადმომირეკეთ ბოსტნიდან... ფრთხილად, ბარდები არ დამიჯეგოთ!

ბიჭები თითისწვერებზე შევიდნენ ბოსტანში, ნაბრძანები შეასრულეს, თითო კიტრი ნამალევად გააცურეს უბეში, უკანვე გადმოვიდნენ და მწიფე, საკალოო მსხალთან გაჩერდნენ.

— შაქარ, უგუნებოთაა ქვრივი, სჯობია წავიდეთ!

ქვრივმა კი მეორე ბრძანება გასცა:

— ადით მსხალზე, ტოტები არ დაამტვრიოთ!

გახარებულმა ბიჭებმა წაღები ხის ძირში მიჰყარეს და ტოტებს დაეკიდნენ, მაგრამ უმალვე პანტა-პუნტით ჩამოცვივდნენ.

— დავამთავრე, დავამთავრე! — გავარდა თოფის ხმასავით.

ვინ დაამთავრა, რა დაამთავრა?!

— დავამთავრე მეთქი, დავამთავრე!

ხმა საბძლიდან მოდიოდა. ბიჭები საბძელს მისცვივდნენ და კარებში ზაზას შეეფეთნენ.

გაწითლებული, თმააშლილი და ... ზაზა შეცბა.

— რა დაამთავრე, ბიჭო?! თვალები გადმოცვენაზე გაქვს!

ქვრივმა ცომის ზელას თავი ანება.

საბძლის კედელზე უზარმაზარი ნახატი იყო გაფენილი, სახურავზე ყავარი აეხადნა ვიღაცას, და იქიდან ჩამოსული შუქი ნახატს ათასფერად აკიაფებდა.

ბიჭებმა თვალი შეაჩვიეს სინათლეს და ერთად წამოიძახეს:

— უჰ, რა კარგია!

მერე უკან დაიხიეს და მუშტრის თვალით შეხედეს: ვერხვიანი. მდინარისპირი. საღამო. კოცონი. სამი ბიჭი წრესგარეთ, სამი— წრესშიგნით. ლახტის თამაშია, — უფრო ცეკვას ჰგავს...

წრესშიგნითას დააკვირდა შაქარა; გრუზათმიანი, შავგვრემანი ჭაბუკი, შევარდენივით გასაფრენად შემზადებული და ხელგაშლილი, — ეს ხომ ბელადია ახალგაზრდობაში!

— მიმიხვდი, აგრეა! მაგრამ ცოტა კიდევ გაკლია!

— კი მაგრამ ყელსახვევი საიდან ექნებოდა ბელადს ახალგაზრდოიაში?! — შენიშნა გოგიამ.

— ახლოს ხართ, ეგეც მართალია! — წამოიძახა ზაზამ. მერე მეგობრებს აღარ დააცალა:

— ამ ზაფხულს, გორში, პიონერთა რესპუბლიკურ შეკრებაზე, ექვსმა გორელმა პიონერმა შეასრულა ეს ცეკვა. შეხედეთ, ქვეშ „ლახტური" აწერია სურათს! რა შესანიშნავად იცეკვეს! ბელადის ბავშვობა განასახიერეს ბიჭებმა, ძია გრიგოლ გლურჯიძეც იქ იყო — ბელადის ბავშვობის მეგობარი; ჩემს გვერდით იჯდა, ისე გაეხარდა, რომ კინაღამ გადამკოცნა...

უცებ საბძელში ვიღაცამ შემოალაჯა.

ბიჭები შეკრთნენ და განზე გადგნენ.

ქვრივს პირველად თვალში ეცა კედელზე გაკრული უზარმაზარი ტილო — იმდენად უზარმაზარი, რომ მისგან ზაზას ხალათის ორი პირსახოციც გადაეჭრებოდა; მერე სახალათეს და პირსახოცებს ფერებმა აჯობეს, და დეიდა ქეთევანმა ნათლად დაინახა ის, რასაც ზაზა თვენახევრის განმავლობაში ხატავდა.

სახეზე წყრომა მოიცილა. ჯერ ახლოს მივიდა სურათთან, მერე უკან დაიხია (არც ყავარახდილი სახურავი გამოჰპარვია დეიდა ქეთევანს), ბოლოს უნებურად გაეღიმა და წასცდა:

— კარგია!

* * *

ნუნუ და ზაზა კარგი მეგობრები არიან, ძლიერ კარგი მეგობრები.

თექვსმეტი წლისანი არიან ორივენი — სწორედ ამ ზაფხულზე შესრულდნენ თექვსმეტისანი.

კარგი ბიჭია ზაზა!

კარგი გოგონაა ნუნუ!

გაკვეთილებს ერთად ამზადებენ და კარზე-ყანასაც ერთად თოხნიან.

შარშან გაზაფხულზე (წიგნებში ამოეკითხათ ალბათ) თითები გაისერეს ჯაყვით და და-ძმად გაიფიცნენ. ერთმანეთზე ფიქრობენ. ზაზას სიხარული ნუნუს სიხარულია, ნუნუმ გაიკაწრა წვივი ძეძვებში — ზაზას ეტკინა გული, ზაზამ ვერ უპასუხა გაკვეთილი — ნუნუს აელანძა ფერმკრთალი ღაწვები...

ჰო და, ასე, ამიტომ ქვრივმა საბძლის კარს ურდული გაუგდო და ბიჭს ფეხი აუბაკუნა:

— წადი ახლავ, ავადმყოფს ეს საადრო გულაბი მიართვი და ბოდიში მოიხადე, რომ აქამდე ვერ ინახულე!

—ნეტა რა დავაშავე?! საქმეს ვაკეთებდი, განა ნუნუს კი არ გაეხარდება?! — ჩაიბუტბუტა ზაზამ და შარაგზაზე გამოვიდა.

მოსახვევში ნოდარს შეეფეთა. დაუშვილმა წარბი შეჰკრა, გზა აუქცია და გაოგნებული ბიჭი უსალმოდ დასტოვა.

ზაზა მობრუნდა და თვალი გააყოლა...

არა, რას ერჩის ნოდარი ზაზას? ნეტა რა დაუშავა ზაზამ ისეთი?! მადლობის მაგიერია?! არ დაიხსომა დაუშვილმა სიკეთე... განა ამ ზაფხულს არ იყო, სიცოცხლე რომ აჩუქა ზაზამ?!

საერთო კალოზე შემოიარა უშოლთელმა. სამიოდე თვის გადმოსული იყო ზვარეთის სკოლაში. ამბობდნენ სკოლიდან გარიცხესო შქმერს, მიტომ დაიწყოო სწავლა დედულეთს. ჰო და, საერთო კალოზე შემოიარა. ახირდა, გინდა თუ არა მე წავიყვანო დასარწყულებლად „შავ მერცხალს“. ცხენი ზაზას მეტს არავის იკარებდა. ურჩია ზაზამ, ემუდარა, — არ დაიშალა ნოდარმა.

მდინარიდან რომ მოაბრუნა, დაოთხდა „შავი მერცხალი“ — პირდაპირ კალოსკენ აიღო გეზი. მხედარი გაჯგიმული იჯდა ცხენზე. ზაზა რომ არა, ჭიშკრის ზედა სვეტი სოკოსავით წააცლიდა ახლადგაპარსულ თავს. კალოზე ქალებმა და გოგონებმა კივილი ასტეხეს. კაცები უძახდნენ: დაწექიო ცხენზე, ბიჭო! — ის კი მაინც თავაღერილი იჯდა. მაშინ... გამოვარდა ზაზა, ჭიშკარში ჩადგა და შეუტია გაგიჟებულ ცხენს...

ცხენი შეტოტდა და შედგა. მართალია, ნოდარი გადმოვარდა და ოდნავ მკლავიც ირძო... მერე რა, თუ გოგონები უყურებდნენ ყველაფერს და ნუნუც იქ იყო! მერე რა, თუ ზაზა თვითონ შეჯდა „შავ მერცხალზე“, დაარწყულა და ნაბიჯით შემოიყვანა კალოზე!...

განა რამე დაუშავებია ზაზას ნოდარისათვის!

ჰო, არ უყვარს ნოდარს ზაზა. სალამსაც არ კადრულობს. ნურც ეყვარება, ოღონდ ფრთხილად იყოს დაუშვილი, ფრთხილად! ზაზა კეთილია, თავმდაბალი, ჭიასაც არ დააბიჯებს ფეხს, მაგრამ არც ვინმეს დააჩაგვრინებს თავს!

სხვაც ახსოვს ზაზას ნოდარისაგან; აი, თუნდაც გორში წასვლისას რომ ატეხა ჩხუბი: გინდათ თუ არა მეც უნდა გამგზავნოთო შეკრებაზე — რითი მჯობიაო ზაზა... რომელი ერთი ჩამოსთვალოს ზაზამ, მაგრამ ახლა მაგის დრო არ არის...

ზაზა ჭიშკართან შედგა, საფეთქლები მოისრისა, თვალები მოიფშვნიტა, ყველა ფიქრი თავიდან მოიშორა და დირეზე გადააბიჯა.

* * *

პატარა ოთახი, სარკმელი და აივანი კახამბლების მხარეს. ოთახში საწერი მაგიდა, კედელზე ზაზას შარშანდელი ნატურმორტი — „იელის შტო“ და დუმილი ირგვლივ...

— მოხვედი, ზაზა! — შეკრთა საწერ მაგიდასთან მჯდომარე ნუნუ, ყურის ბიბილოები შეუწითლდა და წამოდგა.

— მოვედი ნუნუკა, მოვედი. — წაილუღლუღა ზაზამ, გრძელ სკამზე ჩამოჯდა და დამუნჯდა.

ოთახში ელისაბედი შემოვიდა, ლანგარით ხილი შემოიტანა, ზაზას აკოცა და ისევ გაუჩინარდა.

ზაზამ ჭირისოფლი მოიწმინდა, ნუნუსკენ მობრუნდა, შეშინებული თვალებით ჩახედა დიდრონ, ცისფერ თვალებში და დამნაშავესავით ჩაიჩურჩულა:

— ამდგარხარ ნუნუკა! როგორა ხარ?!

— კარგად ზაზული, ძლიერ კარგად! რად მიცქერი აგრე უცნაურად, განა მე მეტყობა რამე?- — საჩვენებელი თითი ტუჩზე მიიდო და გაშტერდა, მერე კარგადყოფნის დასამტკიცებლად ლანგარის ხელი დაავლო, მკვირცხლად გავიდა აივანზე, ხილს წყალი გადაავლო და უმალვე შემობრუნდა

ზაზას გულს გადაეყარა. ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, მკლავში ხელი სტაცა გოგონას და შეანჯღრია:

—აბა გაიცინე, ნუნუ, გაიცინე, ხმამაღლა, შენებურად!..

გოგონამ წარბი შეიკრა, ვერ გაიგო ალბათ ნათქვამი. მერე მეგობრის გულწრფელობაში დარწმუნდა, თხოვნა სასაცილოდ ეჩვენა და გადაიხარხარა. ისე გადაიხარხარა, რომ სარკმლის მინებმა ზარივით გაიწკრიალეს.

— აგრე, ნუნკა, აგრე! იცინე!

ახლა კიდევ უფრო მოეცა გული ზაზას და კიდევ უფრო დიდი ნაბიჯებით გაალაჯა ოთახში. საუბრის თემა შესცვალა:

— ნუნუკა, მე დავამთავრე!

— რა დაამთავრე, ბიჭო!

— დავამთავრე მეთქი, როგორ ვერ ხვდები! საბძელი გახსოვს?!

— ლახტური! — შესძახა გოგონამ და ტაში შემოჰკრა, მაგრამ უმალვე რისხვა აესახა პირსახეზე.

— ზაზა, მე ნაწყენი ვარ, შენ ძლიერ დაეჩვიე... აღარაფერს მკითხავ, არც დაწყებას და არც დამთავრებას — ჩუმად მუშაობ... მე შენთან გაბუტული ვარ!

და გაბუტულმა გოგომ ათიოდე წუთით მოიწყინა, მერე რამდენჯერმე წასცდა სიცილი, ხოლო გამომშვიდობებისას ისევ შეიკრა წარბი:

— ხვალვე მომიტანე „ლახტური", მანამდა კი გაბუტული ვარ!

— მოგიტან, ნუნუკა, უსათუოდ მოგიტან!

საღამოს ბინდი ეშვება იისფრად სერისერ. შარაზე სოფლის ნახირი მობღავის. ზაზა მწყემს ბიჭებს მიესალმა — არ კი იცის ვის...

სამზადის წინ დედას შეეფეთა. არაფერი უკითხავს ქვრივს, ვახშამი გაშალა და როცა ფარანი აანთო, ზაზამ თვალი ჰკიდა კედელზე გრუზათმიან, შავგვრემან ჭაბუკს, ტოლებში ჩამდგარს, მკლავებგაშლილს და შევარდნივით ასაფრენად გამზადებულს.

(გაგრძელება იქნება)

ცაცხვი



შუა ეზოში, მარანის ახლო
დგას გულამაყად ცაცხვი ხნიერი,
მოუსვენარი და მოშრიალე,
ტანმაღალი და ჩრდილგანიერი.

შუა ტოტებში, ვით ორბის ბუდე,
ჰკიდია დიდი, წკრიალა ზარი,
მის დაძახილზე მთელი სოფელი
დილა ადრიან გამოდის გარეד...

ხოლო ფუტკარი ნექტარისათვის,
როცა ფრთებს გაშლის მსგავსად ქარისა,
მინდორს სტოვებს და მასთან მიფრინავს,
უხვად ამკრეფი ტკბილი ღალისა.
ყველა ხეს ჩვენში ის მირჩევნია
თავის უბადლო გაშლილი ჩრდილით,
მშობლიური და მუდამ ჩვენია,
და როს ბავშვივით ილვიძებს დილით,—
დამათრობელს და ტკბილ სურნელებას
უხვად შეაფრქვევს ზაფხულის დილას,
მოფრინდებიან აქ ფრინველები
და მოყვებიან გალობას ტკბილად.
ის კი ყურს უგდებს ამ ტკბილ ჟრიამულს
და უნდა ასე დიდხანს სტკბებოდეს,
ეგებებოდეს ყოველ განთიადს
და არასოდეს არა კვდებოდეს.
მაგრამ მარანში, როცა შენიშნავს
იგი საწნახელს პირამდე სავსეს,
მისივე გვარის ხისგან გამოთლილს,
თუ ვით ეღვრება ბადაგი თავზე,—
თავს ამაყად გრძნობს, თითქოს ძარღვებში
მაჭრის ღვართქაფი სდის და თქრიალებს,
და ბებერ ტოტებს, ხავსმოკიდებულს,
ახალგაზრდულად შეაშრიალებს!

იონა ვაკელი

ბ. გ. ბელინსკი

ასი წლის წინათ გარდაიცვალა დიდი რუსი პატრიოტი, რევოლუციონერი დემოკრატი, გენიალური კრიტიკოსი ბესარიონ გრიგოლის-ძე ბელინსკი.

ბელინსკი დაიბადა 1811 წელს ქალაქ სვეაბორგში, ექიმის ოჯახში. სწავლობდა პენზის გიმნაზიაში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში.

ბელინსკი დიდად ნიჭიერი და წიგნების კითხვის მოყვარული მოსწავლე იყო. იგი ბავშვობიდანვე დაეწაფა მშობლიური ლიტერატურის შესწავლას და ცდილობდა თვითგანვითარებით გაეფართოებია და გაეღრმავებია თავისი ცოდნა.

ახალგაზრდა ბელინსკის ცოდნისა და თვითგანვითარების შესახებ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემს რუსი მწერალი ლაჟეჩნიკოვი, რომელიც იმ დროს პენზის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორი იყო.

„გამოცდის დროს,—წერს ლაჟეჩნიკოვი,—ჩემს წინ დადგა თორმეტი წლის ყმაწვილი, რომლის გარეგნობამ პირველი შეხედვისთანავე მიიქცია ჩემი ყურადღება. მას ლამაზი შუბლი ჰქონდა და თვალებიდან ნაადრევად მომწიფებული გონების შუქი უკრთოდა. სახის გამომეტყველებით იგი თავის ასაკზე მეტი სჩანდა და ძალზე სერიოზულად გამოიყურებოდა. ბავშვი ყველა შეკითხვაზე სწრაფად, ადვილად და დარწმუნებით მიპასუხებდა საკუთარი სიტყვებით. მის პასუხში მეღავნდებოდა მეტი ცოდნა, ვიდრე სახელმძღვანელოებში იყო მოცემული. ეტყობოდა, რომ იგი სახელმძღვანელოებს გარდა სხვა წიგნებსაც კითხულობდა. ჩემ მიერ ათასგვარად დასმულ შეკითხვებზე მან სწორი პასუხი გამცა და ამ ორთა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა... პატარა ბელინსკის შუბლზე ვეამბორე და მოვითხოვე წიგნი, რომლის თავფურცელზე დავაწერე: „ბესაიონ ბელინსკის ბრწყინვალე წარმატებისათვის სწავლაში“.

ბავშვმა დინჯად ჩამომართვა წიგნი. ეტყობოდა, იგი ამ საჩუქარს სავსებით დამსახურებულად სთვლიდა“.

ბელინსკის ბავშვობიდანვე ახასიათებდა საკუთარი ღირსების გრძნობა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

უნივერსიტეტში მოწინავე წევრად ითვლებოდა სტუდენტთა იმ წრეებისა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო თავისუფლებისმოყვარული აზრებით გატაცებული ახალგაზრდობა.

ბელინსკი მტერი იყო მაშინდელ რუსეთში არსებული თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილებისა.

მშრომელთა მჩაგვრელების წინააღმდეგ მიმართული აზრი და გრძნობები ბელინსკიმ პირველად გამოხატა სტუდენტობისას დაწერილ დრამაში „დიმიტრი კალინინი“, რის გამო იგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს.

ამ დევნამ ბელნსკი არა თუ არ გასტეხა, არამედ კიდევ უფრო გააკაჟა. მეფის მთავრობასთან და მებატონეებთან შებრძოლს, მას სწამდა ისეთი ჟამის მოახლოვება, როდესაც „არ იქნებიან არც მდიდრები და არც ღარიბები, არც მეფეები და არც მისი ქვეშევდომნი, არამედ ყველანი იქნებიან ძმები, ადამიანებიო“.

ბელინსკიმ კარგად იცოდა, რომ ეს დრო თავისთავად არ მოვიდოდა. ამიტომ ქადაგებდა იგი სოციალისტურ აზრებსა და რევოლუციური მოქმედების საჭიროებას.

ბატონყმობაზე დამყარებულს, ბნელსა და ხალხის მჩაგვრელ რეჟიმს ბელინსკიმ გამანადგურებლად შეუტია თავის ცნობილ ნაშრომში „წერილი გოგოლს“.

ბელინსკი ებრძოდა ბატონყმობას და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ყოველგვარ სხვა ფორმას. იგი დაუღალავად აკრიტიკებდა ევროპის ბურჟუაზიულ წყობილებას.

ძველი წყობილების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლით ბელინსკი დიდ სიყვარულს გამოხატავდა თავისი ხალხისა და სამშობლოსადმი, მომავალი, თავისუფალი რუსეთი-

სადმი, რომელიც მოწოდებულია, იმისათვის, რომ „მსოფლიოს უთხრას თავისი სიტყვა, თავისი აზრიო“.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ბელინსკიმ ათასზე მეტი მარტოოდენ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა. ამ წერილებში იგი ხელოვნებისაგან, მწერლობისაგან სალხურობას და ცხოვრების სინამდვილის ასახვას მოითხოვს.

ბელინსკიმ დაუფასებელი ღვაწლი დასდო რუსული ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა შემოქმედების შესწავლის და გაშუქების საქმეს. მან პირველმა ნათელჰყო დიდი რუსი მწერლების ლომონოსოვის, კარამზინის, ჟუკოვსკის, ლერმონტოვის, პუშკინის, გოგოლის, კრილოვისა და კოლცოვის ძნიშვნელობა.

ბელინსკიმ პირველმა მიუძღვნა ნეკრასოვის, დოსტოევსკის, ტურგენევის, გონჩაროვის ბრწყინვალე სამწერლო ნიჭზე.

ბელინსკის სთვლიდნენ თავის მასწავლებლად დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი.

ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში ბელინსკის აზრსა და შეხედულებას იზიარებდნენ გასული საუკუნის 60-იანი წლების დიდი ქართველი მწერლები.

ბელინსკი თავისი ძადლიანი კალმით შეეხო საბავშვო მწერლობისა და წიგნის საკითხებსაც.

საბავშვო მწერლობას ბელინსკი მეტად საპატიო და რთულ საქმედ სთვლიდა. იგი ამბობდა, რომ „საბავშვო მწერლები კი არ იქმნებიან, არამედ იბადებიან“-ო.

კარგად შედგენილი საბავშვო წიგნი და პედაგოგიურად სწორად წარმოებული კითხვა მას მიაჩნდა მოზარდის გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტური აღზრდის ერთ მძლავრ საშუალებად. მაგრამ, ამასთანავე, ბელინსკი წინააღმდეგი იყო წიგნების უსისტემოდ და გაკვეთილების მოსამზადებლად გამოყოფილი დროის ხარჯზე კითხვისა.

ბელინსკის აზრით საბავშვო წიგნის პირველი დანიშნულებაა, რომ მოზარდში დანერგოს „უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული ადამიანისადმი“.

„თითოეული საბავშვო წიგნი,—ამბობდა იგი,—მიზნად უნდა ისახავდეს ეგოისტური გრძნობების დაძლევას“. მაგრამ საბავშვო ნაწარმოები ამას უნდა აღწევდეს არა მშრალი ქადაგების გზით, არამედ გასაგებად, ადამიანურად მოცემული და ადამიანური გრძნობით გამოსაბარი მხატვრული სახეების საშუალებით.

ბელინსკი აუცილებლად სთვლიდა ბავშვთათვის ისეთი შინაარსის ისტორიული მოთხრობების გაცნობას, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მათში პატრიოტული გრძნობის აღზრდასა და გაძლიერებას.

ბავშვთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ძლიერ საშუალებად მას მიაჩნდა ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების, მოთხრობების, ზღაპრებისა და სიმღერების შესწავლა.

ამასთანავე ბელინსკის არ ავიწყდებოდა, რომ ბავშვები უნდა გასცნობოდნენ საერთო საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენებს. მაგრამ ეს, ბელინსკის აზრით, „მშობლიური ნაციონალური მოვლენების“ საშუალებით უნდა ხდებოდეს. ბელინსკი მოითხოვდა, რომ ყოველი ბავშვი ჯერ გასცნობოდა თავისი ქვეყნის ამბებს, დიდ სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეებს, ხოლო შემდეგ უცხოეთისას. იგი ამბობდა: „ვინც თავის სამშობლოს არ ეკუთვნის, იგი არც კაცობრიობას ეკუთვნისო“.

ყოველი საბავშვო წიგნი, განმარტავდა ბელინსკი, დაწერილი უნდა იყოს ისე, რომ იგი სიამოვნებით და გატაცებით წაიკითხონ მოზრდილებმაც.

ბელინსკის გაგებით, ძირითადი ამოცანა, რომელსაც ბავშვთა აღზრდა და საბავშვო წიგნი უნდა ემსახურებოდეს, არის ყველა სახის საზოგადოებრივი ბოროტების დაძლევისა და საზოგადოებრივი სიმართლის გაძარჯვებისათვის ხელის შეწყობა. ადამიანის კაცური ღირსება, ამბობდა იგი, იმაშია, რომ პატიოსნად და უანგაროდ ემსახურო შენი ქვეყნის, საზოგადოების წინსვლისა და თავისუფლების საქმეს.

სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** თავის ისტორიულ მოხსენებაში 1941 წლის 6 ნოემბერს, რუსი ხალხის სახელოვან შვილთა შორის საპატიო ადგილი მიაკუთვნა ბელინსკის და ამით ხაზი გაუსვა მის უდიდეს როლს ჩვენი ქვეყნის შრომელთა იდეურ შეიარაღებაში.

ვლადიმერ ზამბახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურას ლურჯა

ხუბა ბერულავა

ნახ. გ. გულისაშვილისა

I

თერთმეტი წლის იყო ზურა,
თერთმეტი წლის ბიჭი მკვირცხლი,
როცა ერთმა მეზობელმა
მას აჩუქა ფიცხი კვიცი.
სხვას ახლოსაც არ უშვებდა,
თავად წრთვნიდა, თავად ზრდიდა,
მოსწონდა და პატრონობდა
ალერსით და თავაზითა.

II

დრო გავიდა... ჩვენი ზურა
გახდა ბიჭი ტანაყრილი,
წვერ-ულვაშიც აუკოკრდა,
როს გაისმა დაძახილი:
—ჰეი, შვილნო, ხმლით და ცეცხლით
შევხვდეთ დუშმანს, კარზე მომდგარს,—
გუგუნებდა წყნარი დონი,
გუგუნებდა ასე ვოლგაც.
სანამ ომში წავიდოდა
ძმებთან ერთად, ზურა ჩვენი,
ვით ერთგული მეგობარი
ინახულა თავის ცხენი.
ლურჯა ბალახს სძოვდა მოლზე
უდარდელი ფრუტუნითა,
პატრონი რომ დაინახა,
გაეხარდა, უკუმიდგა.
ეუბნება ცხენს ჭაბუკი—
მეგობარი ძველისძველი:
—ჩემო ფიცხო, შევარდენო,
გამიზრდიხარ ჩემის ხელით,
ალბათ, გახსოვს, ვით არ გახსოვს,
ვისახელეთ თავი დიდად,
მარუულაშიც, თარჩიაშიც,
რომ დავქროდით ქარივითა.
ახლა უნდა მტერს შევება,
ბავშვობის დრო გამიფრინდა!
ეს ერთხელაც, ჩემო რაშო,
მსურს დღეს შენთან ვიგიჟმაჟო!
და უბელო ცხენს მოახტა
იგი მარდი, მოკისკასე,
შესძახა და გრიგალივით
გააფრინა სოფლის გზაზე.

III

ორი წელი მიიწურა,
ზურა ისევ ომში არი,
წინ მიიწევს ძმებთან ერთად—
ხელში წითელდროშიანი.
ხელში წითელდროშიანი
რისხვით ებრძვის მუხანათებს.
ვისაც მკვრდში გული უძგერს,
მამულს როგორ უღალატებს!
ზურას ზრდიდა საქართველო
და ზღაპრული იავნანა,
ტკბილი დედის ოქროსიტყვას
გაატანდა ნიავს განა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ვეფხურ შემართებით
ბევრჯერ თავი ისახელა,
და ორდენი ზურას მკერდზე
აციმციმდა მზის ნათელად.

* * *

ერთ დღეს, როცა წამით მიწყდა
ბრძოლის ცეცხლი და გრიგალი,
მეომრებმა დაინახეს
ცხენზე მჯდარი გენერალი.
მოფრინავდა რაში სწრაფად
და ურხევდა ქარი ფაფარს.
გენერალმა მებრძოლებთან
შეაჩერა ცხენი სწრაფად.
ვისი ცხენი?!
—ჩემო ფიცხო!—
დაიძახა ზურამ ღელვით.
შესჭიხვინა ცხენმაც უმალ,
მეგობარი, ჰე, რომ იცნო...
ჩურჩულებდა ვაჟი დიდხანს:
—ჩემო ფიცხო, ჩემო ფიცხო!

IV

და უამბო ზურამ უფროსს,
ვით სამშობლო ქვეყნის მცველმა:
—ოი, დიდად გამახარა,
გენერალო, მე ამ ცხენმა.
მე გავზარდე... შინ დავტოვე,
აი, შემდეგ როგორ შევხვდით;
ისიც თურმე აქ დაჰქროლავს,
გამეხარდა გულით, გეტყვით.
გენერალმა გაიღიმა,
გაახარა ამით ვაჟი:
—ყოჩაღ, ზურა, ჯარისკაცო,
გაგიზრდია კარგი რაში!
უბის წიგნი ამოიღო:
—მისამართი მომეც შენი,
როცა ომი დამთავრდება,
და მშვიდობა დამყარდება,
გაგიგზავნო სახლში ცხენი!

V

ის დაბრუნდა გამარჯვებით
დამარცხებულ ბერლინიდან,
მაშინ, როცა ჩვენს მამულში
კალთასავსე რთველი იდგა!
მწიფ ოპ ისთვის ჟამი იდგა,
ჭირნახულის ეშხით მთვრალი...
ბერლინიდან ჩამოვიდა
ზურა-ბიჭი ნაომარი.
თემშარაზე დახვდა ყველა:
დედა, მამა, კარგი ბები,
დიდები და პატარები—
მეზობლები, მეგობრები.
გადაჰკოცნეს უთვალავჯერ,
გულს ჩაიკრეს მღელვარებით,
მერე ერთად გაეშურნენ
სახლისაკენ შვება-ლხენით.
და როდესაც ალვებს შორის
დაიხატა სახლი მისი,
ჯარისკაცმა შორიდანვე
დაინახა ლურჯა ფიცხი.
დამშვიდებით სძოვდა ბალახს
და ხან სივრცეს გაჰყურებდა...
—შენზე გვიან წაიყვანეს,
შენ დაგასწრო დაბრუნება!—
ეუბნება მამა ზურას
და კვლავ დასძენს გულისთრთოლვით:
—გულთბილ ბარათს ხელს აწერდა
გენერალი სურიკოვი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა ყელსახვევზე

გაზაფხულზე სტუმრად ვიყავი მეგობართან ქუთაისში. დიდი ხანია არ გვენახა ერთმანეთი და ცარგა ხანს ვისაუბრეთ. ის იყო წასვლას ვაპირებდი, რომ კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ჩემი მეგობრის უმცროსი ძმა — 12 წლის მალხაზი. იგი სკოლიდან დაბრუნდა. ბიჭუნა დაფიქრებული იყო და აღელვებაც ეტყობოდა. ჩემმა მეგობარმა ყურადღება მიაქცია ძმას და ჰკითხა, თუ რა იყო მისი ფიქრისა და აღელვების მიზეზი.

მალხაზმა მე შემომხედა. შევატყვე, ჩემი ერიდებოდა. მაგრამ მეც ვთხოვე მოურიდებლად ეთქვა ყოველივე და გასათამამებლად მხარზე ხელი დავკარი.

ბიჭუნაც გათამამდა.

აი რა მოგვითხრო მალხაზმა

— დღეს მეზობელ კლასში პიონერული შეკრება დაიწყო. ამ დროს ჩვენთან შემოიჭრა პიონერი ანდრო ღლონტი და გვითხრა:

— ბავშვებო, გეთაყვათ, მომეცით სამი ყელსახვევი. მე და ჩემი ორი მეგობარი დღეს უყელსახვეოდ მოვედით სკოლაში.

ბავშვები შეყოყმანდნენ. არ უნდოდათ ყელსახვევების მოხსნა, მაგრამ ამ დროს შალვა იოსელიანმა და პეტრე ნოზაძემ მოიხსნეს ყელსახვევი და გადასცეს ანდროს.

— პიონერებო, თუ არ ხართ ძუნწი და არ გინდათ ამხანაგების შერცხვენა, ერთი ყელსახვევი კიდევ მინდა და მათხოვეთ. — დაიძახა ანდრომ და მე შემომხედა, რომ შეატყო, მე ყელსახვევის მოხსნას არ ვაპირებდი, მოიღუშა.

უხერხულობა ვიგრძენი და ამხანაგებს გადავხედე. მათ არაფერი უთქვამთ ჩემთვის, მაგრამ არ ვიცი რა გაიფიქრეს გულში.

უნებლიედ დავფიქრდი. ამ დროს ერთმა ჩვენმა ამხანაგმა ანდროს ყელსახვევი მიაწოდა და ანდროც გაიქცა.

გაკვეთილების შემდეგ მედა პეტრე ნოზაძე ერთად წამოვედით შინისაკენ. მე ცვლავ დაფიქრებული ვიყავი. ჩემს გულში ვამბობდი: ცუდად მოვიქეცი თუ არა, რომ ანდროს ყელსახვევი არ ვათხოვე?

ჩემი ფიქრი პეტრესაც გავუზიარე.

— შენი ნება იყო ათხოვებდი თუ არა ანდროს ყელსახვევს, — მითხრა პეტრემ, — მაგრამ კარგად ვერ მოიქეცი; ამხანაგებისათვის უნდა გეთანაგრძნო.

პეტრეს ნათქვამმა კიდევ უფრო დამაფიქრა... მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ ცუდად არ მოვქცეულვარ.

— მე ცუდი ხასიათის არ ვარ, — ვუთხარი მე პეტრეს, — რითაც შემიძლია, ყოველთვის ამხანაგის დამხმარე და თანამგრძნობელი ვარ, მაგრამ ანდროს მაინც არ მივეცი ყელსახვევი. მე მყავს მამა — კომუნისტი. მას აქვს პარტიული ბილეთი. მამა ლაპარაკობს, რომ პარტიული ბილეთი მისთვის ყველაფერზე ძვირფასია ცხოვრებაში. მე ვარ პიონერი. მე მაქვს პიონერული ყელსახვევი და იგი ასევე ძვირფასია ჩემთვის, რაც მე გამაჩნია.

პეტრე მაინც თავისას განაგრძობდა. ალბათ დავა მოგვივდოდა, მაგრამ პეტრემ თავის ეზოს მიაღწია და დამშორდა.

მალხაზი შეჩერდა. ჯერ ძმას შეხედა, მერე მე. ეტყობოდა, ძლიერ აინტერესებდა, თუ რას ვეტყოდით ჩვენ.

ყელსახვევს უნდა გაუფრთხილდე!

ის იყო ჩემი აზრი მინდოდა გამეზიარებინა მალხაზისათვის, რომ ჩემმა მეგობარმა დამასწრო და სახეგაბრწყინებულმა მიმართა თავის ძმას:

— მალხაზ ძმაო, ბევრჯერ მომწონებია შენი საქციელი. ჩემი ძმა ხარ და არ უნდა გაქებდე, მაგრამ არ შემიძლია ჩემი სიხარული დავფარო. დიახ, პიონერისათვის ძვირფასია ყელსახვევი.

პიონერმა ყელსახვევი დაიმსახურა თავისი წარმატებული სწავლით, საზოგადოებრივი მუშაობით, სამშობლოსადმი სიყვარულით. მაშასადამე, ყელსახვევი არის სიმბოლო პიონერის ღირსებისა და პატიოსნების, სიმბოლო იმისა, რომ მოსწავლე ღირსეულად იმყოფება ნორჩ ლენინელთა რიგებში — საბჭოთა კავშირის ამ მოწინავე ბავშვებში.

პიონერული ყელსახვევი მცირე ნაწილია დიადი წითელი დროშის. შენ, მალხაზ, მედროშე ხარ შენი პატარა დროშის — ყელსახვევის. ამის შემდეგ როგორ არ უნდა გაუფრთხილდე პიონერულ ყელსახვევს?!

კარგად მოქცეულხარ, რომ ყელსახვევი არ მიგიცია ანდროსათვის. შენი ყელსახვევი მისცე სხვას — ეს ნიშნავს, შენ არ უფრთხილდები ყელსახვევს. წიგნი ამხანაგს უნდა ათხოვო, — ეს შენი ღირსებაა, მაგრამ ყელსახვევი რომ მისცე, ეს ისევე დაუშვებელია, როგორც კომუნისტმა გაანათხოვროს თავისი პარტიული ბილეთი.

მალხაზს ძმის ლაპარაკმა სახეზე თანდათან შუქი მოჰფინა.

ბორის გეთანელი



1845 წლის ივნისში დიდი ვაივაგლახის შემდეგ ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი გამწესებულ იქნა თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ. თელავს გამგზავრების წინა დღით ბარათაშვილმა ერთხელ კიდევ მოინახულა თბილისის ის ადგილები, სადაც გაატარა თავისი ბავშვობა და ყრმობა.

ქვემოდ მოყვანილ ნაწყვეტში აღწერილია ბარათაშვილის ცხოვრების ეს ეპიზოდი.

ლადო ავალიანი

ლაპარაკით * გართული თაგვისფერსერთუკიანები დიღმის კარით ერევნის მოედანზე გავიდნენ. ტატოც ძალაუნებურად, შორიახლო მისდევდა მათ, უსმენდა და გუნებაში ეცინებოდა ვარლამოვზე, უცხო მოხელის ივან ხარიტონიჩის გულის მოსაგებად ენას რომ ჯაფას აყენებდა.

— აქ რა ხმაურია?! — გაოცებით იკითხა ივან ხარიტონიჩმა, როცა მათ ერევნის მოედანზე** პატარა, ჭუჭყიან დუქანს ჩაუარეს!..

— ეგ, ყავახანაა, ივან ხარიტონიჩ!...

— არ ვინახულოთ?

— ღმერთმა დაგვიფაროს...

— რაო?...

— ღმერთმა დაგვიფაროს-მეთქი!.. რაც ქალაქში უთვისტომო და ოხერია, სულ მანდ იყრის თავს!... მკვლელებსაც შეხვდებით! ჩვეულებრივ კი ეგ ბინძური ადგილი სამსახურიდან დათხოვნილ გადამწერთა, გადამდგარ იუნკერთა, ფუნთუშების დამტარებელთა, უაზნოების მსახურთა, ცუღლუტ მოსწავლეთა და ყომარის აზარტულ მოთამაშეთა თავშესაფარია!

ივან ხარიტონიჩი ყავახანაზე უფრო მეტად გააოცა სემინარის*** გასწვრივ, დაჭაობებულ მოედნის ხილვამ... ჭაობის ნაპირას გაწოლილი ვეება ღორი თავის უსაზღვრო კმაყოფილებას ნებიერი ღრუტუნით გამოჭხატავდა.

— ეგ ჩვენი ქალაქის წარუხოცელი ლაქაა...

— ღორი? თუ ჭაობი...

— ღორზედ არ მოგახსენებთ... ღორი ჩვენი ქალაქის სრულუფლებიანი მცხოვრებია!

ორივე თაგვისფერსერთუკიანმა ხმაშეწყობით გადაიხარხარა.

— მე ჭაობზე მოგახსენებთ... არ იქნა მაგის ამოშრობა... წლიდან-წლამდე ასე, თითქო ღორების სანებივროდ არის დატოვებული. მამაჩემმა ერთი სასაცილო შემთხვევაც მიამბო ამ ჭაობის გამო. 1837 წელს, ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლოზ I ტფილისს რომ ესტუმრა, თავადაზნაურობას მისი უდიდებულესობის პატივსაცემად ბალი გაუმართავს... იმ დღეს, რაღაც ეშმაკად წვიმა მოსულა და მთელი ერევნის მოედანიც, რასაკვირველია, კარგად აუტალახებია... ეს ჭაობი ხომ ერთი-ორად გაზრდილა... ბალზედ მიმავალთ, ვისაც ეტლი უშოვნია, მშრალად მიუღწევია სემინარიის სადარბაზო მისასვლელამდე, ვისაც არა, ფეხით გაუტოპია ეს ამოდენა ტლაპო და... წარმოიდგინე რარიგ დამშვენებული გამოცხადდებოდა ბალზე!

ვარლამოვს არც ის გამორჩა, აქ, ერევნის მოედანზე კვირაობით ბაზრობაც რომ იმართება... სახელდახელოდ ფარდულებს სდგამენ და... ჭყიდიან ძველ ტანსაცმელს, ძველ ავეჯს, ჭურჭელს — ვერცხლისა, ფაიფურისა და სპილენძისას. ჭყიდიან ხილსა და

---

* ნაწყვეტი ამავე სახელწოდების მოთხრობიდან. ყარიბი — უთვისტომოს ნიშნავს.

** ახლანდელი ბერიას სახ. მოედანი.

***) ახლანდელ სასტუმრო „პალასის" შენობაში მოთავსებული იყო სასულიერო სემინარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნეულს... ბაზრის შორიახლო, მაღალ ბოძებზე გაჭიმულ თოკზე სპარსელი მუშაითები თამაშობენ, ქვემოდ კი მათ ბაძავენ სასაცილოდ მოკაზმული ტაკიმასხარები. ვიღაც აბელი, ხელობით დურგალი, ოთხი არშინის სიმაღლე ორჩოფეხებით დადის და მთელი ბაზარი პირდაღებული შესცქერის ამ სანახაობას.

როცა ვარლამოვი და ივან ხარიტონიჩი სემინარიის წინ ჭაობის მზერით სტკბებოდნენ, ტატო უკვე მეფისნაცვლის სასახლის წინ მიაბიჯებდა და გუნებაში ღმერთს მადლობას სწირავდა, თაგვისფერსერთუკიანებთან შეხვედრას რომ გადაურჩა.

— მე ვიკითხო, თორემ იმ თარაქამებს რა უჭირთ... ჩემი ყმაწვილ-კაცობა ასე უგზოუკვლო ხეტიალში და ბედის ძიებაში უნდა გავატარო... ვიპოვნი რასმე სახეიროს თუ არა, ისიც ღმერთმა უწყის!.. რა მომცა „სუდა ი რასპრავასა“ და ახალ პალატაში ცხრა წელიწადს სამსახურმა?.. რა მინდოდა ნახიჩევანს... რას ვპოვებ თელავს?!

ტატომ ჯიბიდან ამოიღო დაკეცილი ქაღალდი, ბრაზით ჩასჭიდა თითები, დაკუწა და ქუჩის მტვერში მიმოაბნია. დილით დაწერილ ძია გრიგოლთან* გასაგზავნ ბარათზე იყარა ჯავრი. სწორედ ახლა, თელავს გამგზავრების წინა დღით ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ზოგჯერ თურმე ახლობელ, საყვარელ ნათესავის იმედიც არ უნდა იქონიო. განა მარტო გრიგოლს ეხებოდა მისი იდუმალი საყვედური!... სხვებმაც, რამდენმა წარუკვეთეს სასოება.

ამ ცხოვრების უკუღმართობას ვერ ურიგდებოდა... ეტლში უდარდელად განრთხმულ, მლიქვნელობით განდიდებულ, დამცინავად მომღიმარ მოხელეთა დანახვაზე გული უკვდებოდა და მრავალგზის გაფიქრებულს, კვლავ თავის გუნებაში იმეორებდა — „სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!...“

რაც ვნახე და ვიგემე, რასაც ვხედავ, თუ ყველაფერი ცხადია და მართალი, მაშინ ეს ქვეყანა ცრუთა, ორპირთა და მლიქვნელთა თავისუფლად სათარეშო ასპარეზი ყოფილა...

გულჩათხრობილ ტატოს უეცრად ჩაესმა ნაცნობის ხმით წარმოთქმული:

— ამავსებ ღვინით,
აგავსებ ლხინით...

იამა ეს სიტყვები... არ მიუხედნია, მაგრამ მიხვდა, რომ უახლოვდებოდნენ. ერთი წამის შემდეგ კვლავ მოესმა:

— ტატო!

არც ახლა მიიხედა.

— ნიკალაი მელიტონიჩ!

ტატომ გაიღიმა და ნაბიჯს აუჩქარა...

— ბარათოვ!

თითქმის ყურთან ჩაესმა და ვერც კი მოასწრო მობრუნება, რომ ნაცნობ, დარდიმანდ ჭაბუკების უეცრად მოვარდნილმა ტალღამ თან გაიტაცა ტატო გარეუბნის ბაღში...

* * *

ლხინის შემდეგ ტატომ უფრო მწვავედ იგრძნო თავისი მარტოობა... მთაწმინდისაკენ მიმავალს უნებლიედ გაახსენდა ის სიტყვებიც, შარშან ნახიჩევანიდან რომ მოსწერა ქაიხოსრო ორბელიანის ასულს — მაიკოს, და გაუკვირდა, რომ მას შემდეგ არაფერი არ შეცვლილა.

მზე უკვე დავითის** მთას ეფარებოდა. გარეთუბანი და ყალა ჩრდილში მოქცეულიყო. ისნის, კუკიისა და ჩუღურეთის მიდამოებს კი ჯერ ისევ აფერადებდა ლომისფერი შუქი ჩამავალ მზისა.

მთის ძირას, საიდანაც იწყებოდა მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ბილიკი, სამი ურემი იდგა. ორი ფარდაგით იყო გადახურული. გადაუხურავ ურმის კოფოზე იჯდა წითელხალათიანი, პატარა ბიჭი და დროდადრო ჭრელ ხარს გადატყაულ ფერდზე სახრეთი ბუზებს უგერიებდა. ტატო, თითქო მთაწმინდის მიდამოთა ხილვამ ძალა შემატაო, მარჯვედ შეუდგა ბილიკს. ო�oდე ნაბიჯზე, პირველ მოსახვევთან, პირისპირ, ბალახებში ორი მათხოვარი იჯდა. ისინი მოთქმის კილოზე ხან სომხურად, ხან თათრულად, ხანაც ქართულად რაღაც ლოცვისებურს შეუსვენებლად ბუტბუტებდნენ და თან ყველას დასანახავად წინ იშვერდნენ თავიანთ მახინჯ ხელებს. ტატოს ბევრი უნუგეშო მთხოვარა ენახა წინეთ, მაგრამ ძონძებში გახვეულ ამ ორი მოძრავი სულიერის ხილვამ დღეს საკვირველად შეეჯზარა.

მსწრაფლ გაშორდა იქაურობას. ფიქრი ამ ორ დაბეჩავებულ არსებაზე თან სდევდა ერთხანს... შემდეგ უკან მიიხედა, ბილიკს თვალი ჩააყოლა და, რაკი ქვემოდან მომავალი არავინ სჩანდა, გრიბოედოვის აკლდამის ცოტა ქვემოდ, გზა გადასჭრა, ხრამში თავქვე დაეშვა; ერთხანს ბუჩქებში მისი მხრები და თავი-ღა მოსჩანდა, მერე სულ ჩაიმალა. ამ ღრეში ხეტიალს ჩვეულმა ტატომ ახლა დიდის ვაი-ვაგლახით მიაღწია მოპირდაპირე მაღლობს.

მაღლობიდან ამაყად მოავლო თვალი ნაცნობ ადგილებს. აქაურობის ხილვა მუდამ შვების მომგვრელი იყო მგოსნისათვის.

---

* პოეტი გრიგოლ ორბელიანი.

** დავითის მთა — მთაწმინდა.

ირაკლი აბაშიძე

კოდალა

ტყე არის, მთა თუ მინდორი,
ბაღი, ბაღჩა თუ ბოსტანი,
ყველგან შეგხვდებათ კოდალა
ეს ხელოსანი ფრთოსანი.
თითქო ტყეს უვლის, მცენარეს
რომ არ ეწვიოს ზიანი,
მწერი აშოროს ათასი
მავნე და ავიზნიანი.
ბუდეს აკეთებს უცნაურს:
ტყეში მონახავს ფუღუროს,
მტერმა ვერ ნახოს ვერაგმა,
თვით კი ყოველთვის უყუროს.

ფუღუროს თვითვე გამოხრავს,
შრომობს მარჯვედ და მამაცად —
შიგ სიკვდილამდე ცხოვრობენ
ერთად დედაც და მამაცა.
ერთად ჩეკავენ პატარებს,
ერთად მზრუნველობს ორთავე,
ჯერ ცოცვას შეასწავლიან,
მერმე საფრენად მ ირთავენ.
ესენიც სპობენ ხეებზე
თუ სადმე მავნე მწერია...
მოდით, ნუ მოვკლავთ კოდალას,
ის მავნებლების მტერია.

ორგი

მთებში, სადაც ნისლებია
და ჩანჩქერი ჩეხვით მორბის,
თვალუწვდენელ სიმაღლეზე
სალ კლდეებში ცხოვრობს ორბი.
იქ ბინადრობს, მაღალ მთებში,
იქ იკეთებს თავის ბუდეს,
ირგვლივ ქვებით შემორაგულს
ბუმბულსა და თივას უდებს.
დედაორბმა თავის ბარტყის
იცის მძლავრად შეყვარება,
დედას შვილის გამოზრდაში
მამაორბიც ეხმარება.

ორბის საზრდო მძორი არის,
თუ სადმე აქვს მიკვლეული,
მაგრამ ხორცს არ ეტანება,
უფრო უყვარს შიგნეული.
არ გეგონოთ ისე გმირი,
როგორც თვითონ მოაქვს თაკი:
ცოცხალ ცხოველს თავს არ ესხმის,
თუ არ ნახა მომაკვდავი.
პატარებში ვაჟკაცია,
ზაზუნის და თაგვის მტერი,
ყავისფერი ბეჭები აქვს,
ტიტლიკანა თავ-კისერი.

ველის არწივი

სასარგებლო ფრინველი
არის ველის არწივი,
„დამიცავით, ნუ მომკლავთ“,
ამბობს ბერიკაციით.
განა მართლა ხარ-კამეჩს,
ან ქვრივ-ობლებს იტაცებს!
იგი თაგვს და ზაზუნებს
ანადგურებს მიწაზე;
მაგრამ ყველა არწივი
თაგვებს გვისპობს ყანაში?!
იგი მრავალნაირი
ცხოვრობს ჩვენს ქკეყანაში.

სასარგებლო როდია,
მართლა, ყველა მათგანი!
ზოგს შვლის ნუკრი იზიდავს,
ზოგსაც თეთრი ბატკანი.
თოფით მოსაკლავია
მათი დიდი ნაწილი,
არწივებში როდია
ყველა ველის არწივი.
არწივს ტოლი არა ჰყავს,
ღონით რომ გაუსწორდეს,
ამიტომაც ფრთოსნებში
არწივს „მეფე“ უწოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გურამიშვილი

მისი საფლავის აღმოჩენის გამო

156 წლის წინათ უკრაინაში გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში მისი საფლავი დავიწყებას მიეცა და ბოლოს დაიკარგა. არ დაკარგულა მხოლოდ დავით გურამიშვილის ლექსები და პოემები, რომელიც პოეტმა წიგნად შედგენილი, თავისი ეროი მეგობრის ხელით, საქართველოში გამოგზავნა, რათა ქართველი ხალხი გაცნობოდა მას და სიყვარულით მოეხსენებია მისი შემომქმედი. ამ წიგნმა, რომელსაც „დავითიანი" ეწოდება, ფართო გავრცელება ჰპოვა ქართველ ხალხში და განადიდა გურამიშვილის სახელი. ამის შემდეგ უფრო მეტად სამწუხარო და გულდასაწყვეტი შეიქნა პოეტის საფლავის დაკარგვა.

* * *

მეტად არეულ დროს მოუხდა დავით გურამიშვილს ცხოვრება. ეს იყო მეთვრამეტე





საუკუნე, როდესაც ქართლ-კახეთს ხან სპარსელები და ოსმალები და ხან ლეკები აოხრებდნენ. მტრების ვერაგობამ დიდი ტანჯვა განაცდევინა პოეტს. 1729 წელს ზაფხულზე ფილიო მოყვრის ყანაში მიმავალი 24 წლის ახალგაზრდა დავითი ლეკებმა დაიჭირეს და ტყვედ გაიტაცეს ლეკეთში. იქ (სოფელ ოსაქალას) დავითი ჯერ იმსახურეს და შემდეგ გაყიდვა დაუპირეს. გაწამებულმა დავითმა მოახერხა და ტყვეობიდან გაიპარა. მაგრამ საქართველოში დაბრუნებას ამჯობინა გადასულიყო რუსეთში. მშიერსა და შიშველს სიკვდილი კვალდაკვალ სდევდა. დიდი გაჭირვებით სამშვიდობოს გავიდა. თავი შეაფარა რუსების პირველ სოფელს, სადაც დავითი გულთბილად მიიღეს. აჭამეს, ჩააცვეს და მოასვენეს. ამის შემდეგ დავითმა დამშვიდებით განაგრძო გზა. ასტრახანზე გავლით 1730 წელს მიაღწია მოსკოვს, სადაც ინახულა საქართველოდან გადახვეწილი მეფე ვახტანგ მეექვსე და შეუერთდა პის ამალას.

მეფე ვახტანგი საქართველოს აწეწილმა მდგომარეობამ გადახვეწა რუსეთში. იქ ქართველი მეფე ეძებდა მეგობრებს და რუსეთის ხელმწიფის დახმარებით ცდილობდა მტრების სათარეშოდ გამხდარ საქართველოს აწეწილი მდგომარეობის მოწესრიგებას, მაგრამ მისი ოცნება, სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზების გამო, არ გამართლდა. ვახტანგი საცხოვრებლად გადავიდა ქ. ასტრახანს, სადაც იგი მალე გარდაიცვალა.

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ მოსკოვში მყოფმა ქართველებმა რუსეთის ქვეშევრდო-

მობა მიიღეს. ისინი ჩაეწერნენ სამხედრო სამსახურში და შეადგინეს ცალკე „გუსართა პოლკი“, რომელშიც დავით გურამიშვილიც მოჰყვა. პოლკმა რუსეთის ბევრ სამხედრო მოქმედებაში მიიღო მონაწილეობა. ბრძოლებში დავით გურამიშვილი ყოველთვის მამაცობას იჩენდა. როცა მოხუცებაში შევიდა, დავითი დაესახლა უკრაინაში, თავის მამულში, რომელიც მას ადრე ებოძა როგორც რუსეთის ქვეშევრდომსა და მხედარს.

უკრაინაში ცხოვრების დროს დასწერა დავით გურამიშვილმა თავისი შესანიშნავი ლექსები და პოემები. თავის შემოქმედებაში პოეტმა დიდი პოეტური შთაგონებითა და გულისტკივილით გამოხატა საქართველოს აწეწილი მდგომარეობა, მისი ტკივილები. ამავე დროს პოეტმა მხურვალე გულით უმღერა სწავლასა და ცოდნას, მათ საჭიროებას. დავით გურამიშვილს ეკუთვნის ფართოდ გავრცელებული სტრიქონები:

„ისმინე, სწავლის მძებნელო!
მოჰყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა“.

ან კიდევ ასე:

„სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ,
არ არის გასაყოფელი“.

დავით გურამიშვილის ლექსები და პოემები ჩვენი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განუშორებელი ნაწილია.

დავითი გარდაიცვალა 1792 წელს—ღრმად მოხუცებული. როგორც ზემოდ ვთქვით, პოეტის საფლავი, დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა და ბოლოს დაიკარგა. გურამიშვილის შემოქმედებით მადლიერი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები იღწვოდნენ, რომ ეპოვათ ის ადგილი, სადაც განისვენებდა დიდი პოეტისა და პატრიოტის ნეშტი. უკრაინისა და საქართველოს მეცნიერთა მიერ მრავალი წლის განმავლობაში წარმოებულ ძიებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. რამდენიმე თვის წინათ საბჭოთა უკრაინის მინისტროთა საბჭოს სპეციალური კომისიის მიერ დადგენილი იქნა ადგილი, სადაც დასაფლავებულია 156 წლის წინათ გარდაცვლილი დავით გურამიშვილი.

ამ კომისიის დასკვნით გურამიშვილის საფლავი იმყოფება ქალაქ მირგოროდის განაპირა უბანში, სოროჩინსკის და პოლტავის ქუჩების გზაჯვარედინზე, გზის პირად მდებარე სასაფლაოზე.

ახლო მომავალში პოეტის საფლავზე აღმართული იქნება ძეგლი.

გურამიშვილის საფლავი

გაზაფხულს მოჰყვა ფერთა სიმწვანე,
უკრაინაში ნზე და ლხინია.
ალბათ ნახავდი გზის პირად ყანებს,
პოლტავისაკენ თუ გაგივლია.
იქ სოროჩინსკის ნაზ თაიგულებს,—
ნახავდი ბაღებს ოქროსფერ სხივით,
ველს ყვავილებით პირმოხატულებს
უკრაინული სარაფანივით.
აქ ჩაჰქრობია მგოსანს ვარსკვლავი,
შესცვლია ფერი მთვარეს მოვერცხლილს...
აი, აქ თბება წმინდა საფლავი
ქართული სიტყვის დაუშრეტ ცეცხლით.
ისევ გაივლი შენ პოლტავის გზით,
ფიქრებს მოგახვევს ლექსი ქართული—
გაბრწყინებული უკრაინის მზით,
პოეტის ძეგლზე ამოქარგული.

ლიდია მეგრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქომაგალი ისტატები

29 მაისს დედაქალაქის მშრომელები მიიჩქაროდნენ ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკისაკენ. ამ დღეს აქ ტარდებოდა შრომითი რეზერვების დღესასწაული. ცენტრალურ მოედანზე მოწყობილი იყო სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. რას არ ნახავდით აქ! მომავალი სპეციალისტების მიერ შექმნილ მანქანებს, დაზგებს, სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღს, ნახატებსა და ნაძერწ-ნამუშევრებს.

მნახველები ინტერესით ათვალიერებდნენ თბილისის მე-14 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა საწარმოო შემოქმედებას. გენერატორი, გამანაწილებელი ფარი და მასზე განლაგებული რთული ელექტრომოწყობილობა ისე მაღალხარისხოვნად იყო დამზადებული, რომ მნახველთა აღტაცებას იწვევდა.

დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებოდნენ თბილისის მე-3, მე-5, მე-11, მე-12, მე-15, ქუთაისის მე-4, წულუკიძის მე-8 სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთა ნამუშევრებთან. ისინი იწონებდნენ მომავალ სპეციალისტთა შემოქმედებითი შრომის ნიმუშებს.

პარკში გამართული იყო მასობრივი სეირნობა. უკრავდა შრომითი რეზერვების კულტურის რესპუბლიკური სახლისა და ინდუსტრიული ტექნიკუმის სასულე ორკესტრები. ფიზკულტურულ მოედანზე გამოდიოდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები, უჩვენებდნენ თავიანთ მიღწევებს, აკრობატულ ნომრებს, ვარჯიშობდნენ სიმძიმეთა აწევაში, კრივში, ჭიდაობაში. სამკითხველო დარბაზში მოწყობილი იყო საუკეთესო კედლის გაზეთების გამოფენა, ტარდებოდა სეანსები ჭადრაკში.

9 საათზე საზაფხულო თეატრში გაიხსნა შრომითი რეზერვების სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეთა თვითმოქმედების მე-6 რესპუბლიკური დათვალიერება. კულტურის სახლის მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლმა მაყურებლებს უჩვენა ლიტერატურულ-მუსიკალური სუიტა—„ახალგაზრდობის დღესასწაული.“ ანსამბლის წევრებმა მიმზიდველად შეასრულეს სიმღერები და ცეკვები. შესანიშნავი იყო ფარიკაობა, რომელიც ახალგაზრდა მოცეკვავეებს ორჯერ გააძეორებინეს.

სცენაზე ერთძანეთს სცვლიდნენ მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდები, ინდივიდუალური შემსრულებლები, დეკლამატორები, ნორჩი ავტორები. მაყურებელთა წინაშე კარგად შერჩეული პროგრამით გამოვიდნენ ქუთაისის მე-4, წულუკიძის მე-8, ზესტაფო-

ნის მე-9, თბილისის მე-12 სახელოსნო სასწავლებლის მომღერალთა გუნდები, თბილისის მე-3 სახელოსნო სასწავლებლის ქორეოგრაფიული წრე და მრავალი სხვა. მაყურებლები განსაკუთრებით მოწონებით შეხვდენენ თბილისის მე-14 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლის გივი შარაბიძის გამოსვლას. მან მოხდენილად და მაღალი გემოვნებით შეასრულა რამდენიმე საცეკვაო ნომერი. დარბაზში დიდხანს არ დამცხრალა ტაში.

დათვალიერების პირველი დღე დასრულდა თბილისის მე-11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსვლით. რეპერტუარში იყო ლიტერატურული მონტაჟი „საქართველო“, რომელიც ასახავდა ჩვენი ქვეყნის სახელოვან წარსულსა და ბედნიერ აწმყოს.

მეორე დღეს, 30 მაისს სცენაზე გამოვიდნენ რჩეული თვითმოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. ნომრების დიდი უმეტესობა დახვეწილი და მაღალხარისხოვანი იყო. მასში ნათლად ჩანდა სასწავლებლებისა და სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობა მხატვრული თვითმოქმედების დარგში.

დათვალიერება დამთავრდა. მხიარულად, წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაიშალნენ მაყურებლები. ყველა მათგანს ნათელი წარმოდგენა შეექმნა იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელსაც აწარმოებენ სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები ჩვენი მუშათა კლასის მომავალი შევსების ღირსეული აღზრდისათვის.

* * *

ჩვენს რესპუბლიკაში 17 სახელოსნო სასწავლებელი და 37 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაა. მათ სასწავლო კაბინეტებში, სახელოსნოებში ყოველდღიურად სწარმოებს გულმოდგინე მეცადინეობა და შრომა პროფესიების სრულყოფილად შესწავლისათვის. მოსწავლეები ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას და ქმნიან ბევრ ისეთ დაზგა-დანადგარს, რომელთა ათვისება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისთვისაც დიდი ღირსებაა.

— მოსკოვიდან, შრომითი რეზერვების სამინისტროდან ახალი სახის დაკვეთა მივიღეთ,—თქვა ოსტატთა წინაშე მე-15 სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ი. ღონღაძემ, — გადმოგვიგზავნეს ნახაზებიც. სსრ კავშირში პირველად ჩვენ გვიხდება ლითონსაცდელი მანქანის ათვისება. საქმე ჩვენზეა, ამხანაგებო!

ოსტატებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა გულდასმით გასინჯეს ნახაზები, შეარჩიეს საუკეთესო მოსწავლეები და ლითონსაცდელი მანქანის ნაწილების დამზადებას შეუდგნენ. თვითეული მათგანის დამზადება პირველად უხდებოდათ.

— ჩვენ ახალი ტიპის მანქანას ვქმნით! ჩვენ მიერ გამოშვებული პროდუქცია ქარხნებში გაიგზავნება!—ამის შეგნება აღაფრთოვანებდა ლითონსაცდელი მანქანის ახალგაზრდა მშენებლებს. დღეს დღე მისდევდა და სახელოსნოში მატულობდა ახალდამზადებული ნაწილები. დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXX წლისთავზე სასწავლებელმა შესძლო რამდენიმე ლითონსაცდელი მანქანის „იმ—4-ა“-ს გამოშვება. იგი მაღალხარისხოვანია, იხმარება ლითონსაკვლევ ლაბორატორიებში, მეტალურგიულ ქარხნებში. მისი დახმარებით შესაძლებელია ლითონის სიმტკიცის გაგება, წყვეტისა და ღუნვის უნარის შემოწმება. სასწავლებელი ახლა ამ მანქანას მასობრივად უშვებს. მანქანის ახალგაზრდა შემქმნელებმა წარჩინებული შრომისათვის დაიმსახურეს სსრ კავშირის შრომითი რეზერვების მინისტრის ამხ. პრონინის მადლობა და ფულადი ჯილდო.

თბილისის პირველი სარკინიგზო-სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა ასევე წარმატებით აითვისეს მზომავი დაზგა, რომელსაც იყენებენ საზომი ხელსაწყოების დამზადებაში. დაზგა დიდი არაა, მაგრამ მისი თვითეული ნაწილი გასაოცარი სიზუსტით და მაღალი გემოვნებითაა გაკეთებული.

ქ. წულუკიძის მე-8 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა საკუთარი ძალ-ღონით შექმნეს ბრტყელსახეხი ჩარხი. მასზე დაკრულია ახალი მარკა—„რუ—№ 8“.



ასეთი მაგალითი თითქმის ყველა სახელოსნო სასწავლებლის ცხოვრებაში ხდება. მოსწავლეები წარმატებით ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას და სახელოვან ფურცლებსაც სწერენ ჩვენი სამშობლოს შრომითი დიდების წიგნში.

* * *

სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში იზრდებიან, სწავლობენ და სხვადასხვა საწარმოო პროფესიას ითვისებენ ჯანსაღი ახალგაზრდები — მომავალი მუშები, ხელოსნები. ეს სასწავლებლები და სკოლები სამართლიანად ითვლებიან ჩვენი გმირული მუშათა კლასის ახალ კადრთა სამჭედლოებად. ისინი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ინიციატივითაა შექმნილი. აქედან ჩვენი მრეწველობა და ტრანსპორტი ყოველწლიურად ღებულობს მუშათა ახალ-ახალ შევსებას. თავისი არსებობის განმავლობაში მათ ჩვენს სახალხო მეურნეობას აღუზარდეს და გადასცეს სამმილიონნახევარი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

* * *

— აი, აქ იმუშავებ! — მიმართა ოსტატმა ემელიონს.—შენი დაზგაც ეს იქნება. წამოდი, ხელსაწყოები ჩაიბარე და საქმესაც შეუდექი!

ემელიონი ოსტატს გაჰყვა, საზეინკლო ხელსაწყოები ჯასინჯა და პირველი დავალებაც მიიღო. ახალგაზრდა ზეინკალი მოუსვენრობის გრძნობამ შეიპყრო, ღელავდა, შიშობდა—ვაი, თუ არაფერი გამომივიდესო. მართალია, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში კარგად მეცადინეობდა, საცდელ დეტალებს ჩინებულად ამზადებდა და საკვალიფიკაციო გამოცდებიც ხუთებზე ჩააბარა,



მაგრამ იქ ხომ სკოლა იყო! შეცდებოდა, გაუსწორებდნენ. აქ კი დამოუკიდებელი ზეინკალია! რამდენი მუშა შესცქერის! სირცხვილი როგორ უნდა ჭამოს და აღმზრდელი სკოლა შეარცხვინოს!

ემელიონმა საქანჩე ლითონი გირაგში მარჯვედ მოამწყვდია. ჯერ ზედაპირი გაუსუფთავა, მერე სახრახნე გაუმზადა. ბოლოს ხრახნის მორგებას შეუდგა. საქმე რიგზე არ იყო, სახრახნე ფართო გამოუვიდა, ნახაზის პირობას არ ეთანხმებოდა. ახალგაზრდა ზეინკალს ცივმა ოფლმა დაასხა. ნამუშევარი კუთხეში უკმაყოფილოდ მიაგდო და ქანჩის დამზადება ხელახლა დაიწყო. ათიოდე წუთის შემდეგ ოსტატი მოვიდა, ემელიონის ნაშრომი გასინჯა. მისმა გამოცდილმა თვალმა რამდენიმე ადგილას არასიზუსტე აღმოაჩინა.

— აი, შეხედე, ემელიონ! აქ მეათედ მილიმეტრებსაც მნიშვნელობა აქვს. ეს ქანჩი რომ საყელავ მანქანას მოვარგოთ, დღეს, ასე თუ ისე, გასძლებს, ხვალ კი უვარგისი იქნება. საქმე ისაა, რომ ნახაზში მოცემული ზომა ზუსტად დაიცვა.—ოსტატმა ახალგაზრდა ზეინკალს დაწვრილებით აუხსნა, თუ როგორ მიეღწია მეტი სიზუსტისათვის.

ემელიონ ვარდოსანიძემ იმ დღეს ერთი ქანჩის დამზადებაზე იმუშავა. სასურველ შედეგს მხოლოდ სამუშაო დღის დამთავრებისას მიაღწია. ოსტატმა მისი ნამუშევარი ყურადღებით დაათვალიერა, სიგრძე-სიგანე და ღარის მოცულობა გულდასმით გაუზომა.

— ყოჩაღ!—წამოიძახა აღტაცებით და ემელიონს გამარჯვება მიულოცა. რა იცოდა ახალგაზრდა ზეინკალმა თუ საყელავი მანქანის ამ ქანჩის სრულყოფილად დამზადებას სხვები პირველად კვირაობით უნდებოდნენ! მეორე დღეს ვარდოსანიძემ კვლავ სიხარულით შეაღო ქ. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს კარები. მუშაობა ბეჯითად დაიწყო და დღიური დავალება 127 პროცენტით გაანაღდა. ასევე გაგრძელდა მომდევნო დღეებშიც. თვის დასასრულს კი მისმა საწარმოო მაჩვენებელმა 141 პროცენტს გადააჭარბა. ახალგაზრდა სტახანოველი ამით არ კმაყოფილდებოდა, გაგრძობდა თავისი ცოდნის სრულყოფას, კითხულობდა ტექნიკურ ლიტერატურას, საინტერესო საკითხებზე ხშირად ესაუბრებოდა გამოცდილ სტახანოველებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს. მათ რჩევა-დარიგებას თავის საქმიანობაში ანხორციელებდა.

ემელიონ ვარდოსანიძე ჭიათურაში ახლა სახელგანთქმული სტახანოველია, დღემდე ახალი სტალინური ხუთწლედის 6 წლის გე-

გმა აქვს შესრულებული და პროდუქციას უშვებს 1952 წლის საწარმოო დავალების ანგარიშში.

* * *

ელგუჯა კვიჟინაძემაც სახელოსნო სასწავლებელში მიიღო პირველი საწარმოო ნათლობა. იგი სოფელ სვერიდან (ჭიათურის რაიონი) თბილისში ჩამოვიდა და მე-3 სახელოსნო სასწავლებელში შევიდა.

სოფელი ბიჭი აღტაცებული იყო დედაქალაქის ცხოვრებით, დღითიდღე ეჩვეოდა სასწავლებელს, მოგუგუნე სახელოსნოებს, ახალ ამხანაგებს. სწავლას თავიდანვე ბეჯითად შეუდგა. ყოველ გაკვეთილსა და პრაქტიკულ მეცადინეობაზე ყურადღებით უსმენდა პედაგოგებსა და ოსტატს. სასწავლო სახელოსნოში მუშაობა განსაკუთრებით უყვარდა. მეცადინეობის დასრულების შემდეგაც იგი ხშირად უნახავთ თავის საყვარელ დაზგასთან... ყოველი სემესტრის ბოლოს ელგუჯას გული სიხარულით ევსებოდა — თვითეულ საგანსა და პრაქტიკულ მეცადინეობაში მისი გვარის გასწვრივ ხუთიანები იყო ჩამწკრივებული.

ორი წლის მუყაითი სწავლის შემდეგ ელგუჯამ წარმატებით დაასრულა სახელოსნო სასწავლებელი და მე-6 თანრიგის ხარატის წოდება მიიღო. იგი იქვე დასტოვეს სახარატო საამქროს უფროს ოსტატად და მომავალი ხარატების აღზრდა მიანდეს. ელგუჯა ოსტატის თანამდებობაზე დაუღალავად მუშაობდა, გულისხმიერად ზრდიდა და წრთვნიდა ახალგაზრდებს.

ელგუჯა კვიჟინაძე ამჟამად ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზეა დაწინაურებული—თბილისის აბრეშუმ საქსოვი ფაბრიკის კომკავშირული კომიტეტის მდივანია. იგი უნარიანად წარმართავს ფაბრიკის ახალგაზრდობის ბრძოლას მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის, ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებისათვის. ზრუნავს თვითეული მათგანის იდეურ-პოლიტიკური ცოდნის გაღრმავებაზე, საწარმოო დაოსტატებაზე. ელგუჯა კვიჟინაძე უმაღლეს სასწავლებელში შესვლისათვის ემზადება. გადაწყვეტილი აქვს წარმოებას ინჟინერის პროფესიით დაუბრუნდეს.

* * *

გიორგი პაპუაშვილიც სახელოსნო სასწავლებელში აღიზარდა. იგი ამჟამად თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს სახელმოხვეჭილი სტახანოველია. ყოველთვიურ დავალებას 300-ზე მეტი პროცენტით ასრულებს. მან ორნახევარ წელიწადში შეასრულა 5 წლისა და 8 თვის საწარმოო დავალება.

მსგავსი მაგალითი უამრავია ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში. სად არ მუშაობენ და სასახელო წარმატებებს არ აღწევენ სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების აღზრდილები — რუსთავის მეტალურგიული გიგანტისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე, ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის შახტებში, ჭიათურის მაღაროებში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და სხვა ქალაქების თითქმის ყველა საწარმოში დაუღალავად ტრიალებს მათი მარჯვენა. ისინი სასწავლებლებსა და სკოლებში დაეუფლნენ არამარტო პროფესიებს, არამედ გახდნენ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები, დედა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს გამოხატავენ სტახანოვური შრომით.

ჰ. ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ

ფოტოები **ვ. რუსეცკისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაინვორდი



1. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი, 2. ცნობილი რუსი მეცნიერი-ფიზიკოსი, 3. ყვავილი, 4. ნაკრძალი, 5. კრეისერი, რომელმაც პირველმა გაუხსნა ცეცხლი ზამთრის სასახლეს, 6. ქართველი პოეტი, 7. ცნობილი რუსი მეცნიერი, 8. ქალაქი ციმბირში, 9. მწვერვალი კავკასიონზე, 10. ხე-ტყის სახერხი მრეწველობის უდიდესი ცენტრი ჩრდილოეთში, 11. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი, 12. ცნობილი რუსი მხატვარი, 13. გამოჩენილი უზბეკი მწერალი, 14. მდინარე სსრ კავშირში, 15 ისტორიული ბრძოლის ადგილი მოსკოვის მახლობლად, 16. რაიონული ცენტრი საქართველოში, 17. აზერბაიჯანის გამოჩენილი მწერალი-პოეტი, 18. ქალაქი საბჭოთა კავშირში.

შენიშვნა: პირობითი ნიშანი „მძიმე" იმის მაჩვენებელია, რომ სიტყვას აკლდება ერთი ასო და მომდევნო სიტყვა წინა სიტყვის უკანასკნელი ასოთი იწყება.

შინაარსი

	გვ.
პიონერული ზაფხული (წერილი)	1
ვ. ჟურული — მამა და შვილი (ლექსი)	2
მარიჯანი — ჩემი მომავალი (დღიური)	3
ვ. გორგანელი—აქ ცხოვრობდა კალინინი (ლექსი)	6
ო. ნემსაძე — პიონერული ბანაკი (წერილი)	7
მ. ლებანიძე — ზაზა მესხი (მოთხრობა)	9
ი. ვაკელი — ცაცხვი (ლექსი)	17
ვ. ზამბახიძე — ბ. გ. ბელინსკი (წერილი)	18
ხ. ბერულავა — ზურას ლურჯა (პოემა)	20
ბ. ბეთანელი — მოთხრობა ყელსახვევზე	22
ლ. ავალიანი — ყარიბი მგოსანი (მოთხრობა)	23
ი. აბაშიძე — საქართველოს ბუნება (ლექსები)	25
გ. ლალიძე — დავით გურამიშვილი (წერილი)	26
ლ. მეგრელიძე — გურამიშვილის საფლავი (ლექსი)	27
პ. კოხრეიძე—მომავალი ოსტატები (ნარკვევი)	28
ჩაინვორდი	32
გ. შატბერაშვილი — თიბათვე (ლექსი) გარეკ. მე-2	გვ.
ი. ვაისმანი — მოქნილთა და მამაცთა სპარტაკიადა (წერილი) გარეკანის მე-3	გვ.
თ. შავერზაშვილი — მგზავრული (მუსიკა) გარეკ. მე-4	გვ.
გარეკანის მხატვრობა — „თიბვა" ეკუთვნის	
	გ. გულისაშვილს

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. კაჭახიძე

სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე. ო. ნემსაძე

სამხატვრო რედაქტორი ა. გიგოლაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-81-85.

უე 09701 ტირაჟი 7.200 გამომცემლობის შეკ. № 51 სტამბის შეკ. № 928

ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი" ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ საგამოვნო მრეწველობის სამინისტროს ლითოგრაფიაში.

მოქნილთა და მამაცთა სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა სპორტულ ცხოვრებაში აღინიშნება დიდი და საყურადღებო მოვლენა: მზიური საქართველოს დედაქალაქში თავი მოიყარა 800-ზე მეტმა ნორჩმა სპორტსმენმა-მძლეოსანმა, ტანმოვარჯიშემ, ფეხბურთელმა და ჩოგბურთელმა, რათა მონაწილეობა მიიღოს თავის პირველ სპარტაკიადაში. სასპორტო დარბაზებში, სტადიონებზე, საჩოგბურთო მოედნებზე ბედნიერი საბჭოთა გოგონები და ვაჟები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი, ერთმანეთს შეეჯიბრებიან სისწრაფეში, მოქნილობასა და გამბედაობაში.

თავიანთი სპარტაკიადისათვის საქართველოს მოსწავლეები მონდომებით და დიდი ინტერესით ემზადებოდნენ. საკმარისია ითქვას, რომ სპარტაკიადამდე ჩატარებულ სასკოლო, რაიონული, საქალაქო და საოლქო შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 100 ათასამდე მოსწავლემ, და მათ შორის მხოლოდ 860-მა უკეთესმა-უკეთესთა შორის მოიპოვა უფლება ყოფილიყო მონაწილე სრულიად საქართველოს პირველი სპარტაკიადისა, რომლის დროშა დღეს ამაყად აღიმართება სტადიონზე.

სპარტაკიადა შეაჯამებს სასკოლო სპორტული კოლექტივებისა და წრეების მუშაობას, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში ამჟამად 1.817 აღწევს. გასულ წელთან შედარებით ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი 649-ით გაიზარდა. ამ კოლექტივებსა და წრეებში ფიზიკური აღზრდის სკოლისგარეშე მუშაობაში ჩაბმულია 104.439 მოსწავლე. მათი უმეტესობა სექციებში მეცადინეობით ეუფლება სპორტის 28 სხვადასხვა სახეს.

გამოცდილი მასწავლებლებისა და მწვრთნელების ხელმძღვანელობით სპორტულ სექციებში მოსწავლე ახალგაზრდობა იწრთობა ფიზიკურად, იძენს სპორტულ ჩვევებს და ამაღლებს თავის სპორტულ მიღწევებს. სპორტულ სექციებში აღიზარდნენ შესანიშნავი სპორტსმენები, რომლებიც ახლა წარმატებით მონაწილეობენ საკავშირო შეჯიბრებებში სპორტის თითქმის ყველა სახეში.

მათ რიცხვში არიან ტანმოვარჯიშენი — მზია ჯუღელი, სანებლიძე, ასათიანი, ჯაფარიძე; მოკრივეები — ხანუკაშვილი და მეძმარიაშვილი; მოჭიდავეები — საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ციმაკურიძე, ილურიძე, ვეშაგური; მძლეოსნები — ქარცივაძე, პორტნოვი, ქორქია, მიხაილოვი; ჩოგბურთელები — გივი კოკაია, უარევსკი და მრავალი სხვა.

ფიზკულტურა და სპორტი მჭიდროდაა დაკავშირებული მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების საერთო სისტემასთან. განვლილი ორი წლის მანძილზე ქალაქისა და სოფლის 53 ათასმა მოსწავლემ, გაიარა რა ფიზიკური მომზადების განსაზღვრული საფეხური, ჩაებარა **მშთ** და **იმშთ** კომპლექსის ნორმები.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი ბელადი, საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარი ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ ჯანსაღი და სიცოცხლით აღსავსე ახალი თაობის აღზრდის საქმეს. ახალგაზრდობას მომსახურებას უწევს ნათელი და ფართო სპორტული დარბაზები, სტადიონები, საწყლოსნო საგზურები, ტურისტული ბანაკები, სპორტული მოედნების დიდი რაოდენობა და სხვ.

პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვასა და ყურადღებას მოსწავლე გოგონები და ვაჟები პასუხობენ საუკეთესო სწავლით. ოქროს მედლით დაამთავრეს საშუალო სკოლა ლევან სანაძემ, რომელიც გახდა ჩვენი ქვეყნის ერთერთი საუკეთესო სპორტსმენი და გივი კოკაიამ — საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონმა ჭაბუკ ჩოგბურთელთა შორის და სხვებმა.

მიმდინარე საზაფხულო სპორტულ სეზონში მოსწავლე-ფიზკულტურელებმა მცირე წარმატებებს როდი მიაღწიეს. საქალაქო და რესპუბლიკური რეკორდების ცხრილებში ჩაწერილია მძლეოსნობასა და ცურვაში მიღწეული ათობით ახალი რეკორდი, თვალსაჩინო შედეგებია, აგრეთვე, სპორტის სხვა სახეებში.

მომზადებული და ძალღონით აღსავსენი შეიკრიბნენ თავიანთ პირველ სრულიად საქართველოს სპარტაკიადაზე ნორჩი ფიზკულტურელი გოგონები და ვაჟები. როგორც კი აღიმართება სპარტაკიადის გახსნის აღსანიშნავი დროშა, ისინი ჩაებმებიან წარმტაც და საინტერესო ბრძოლაში პირველობის მოსაპოვებლად, რათა დაიმსახურონ მოსწავლეთა სრულიად საკავშირო სპორტულ დღესასწაულში მონაწილეობის უფლება.

ი. ვაისმანი

81/58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგზავრული.

მუს. თ შავერზაშვილის
ტექსტი მ. მოვლიშვილის



ბროლის კოშკად გადმომდგარან
მიუვალი მწვერვალები,
ელვარებენ, გვიზიდავენ, —
ველარსაით ვემალებით.

უფრო მაღლა, უფრო ზევით,
ლამაზ ქედებს გადავევლოთ,
ფიქრის უმალ მოვიფრინოთ
საყვარელი საქართველო.

—